პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 76 (13197) | ხუთშაბათი, 1 აპრილი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

დღეს ჩვენს ნომერშია:

- სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!
- გაზაფხული გვიხმობს
- რვატომიანი „სიტყვის კონა"
- საერთაშორისო ცხოვრება

# საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება

31 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება [illegible] ტურის მოღვაწეები, კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები.

მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შედეგები და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები" გააკეთა სკკპ ცენტრალური კომი- [illegible] თვალსაჩინო მეჩაიე მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ამხ. ქ. ე. ბახტაძე, ხეცერის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ა. მ. როგავა, პარტიის ცხაიას რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ნ. პ. შონია, ქობუ- [illegible] დირექტორი ამხ. გ. ო. ნახატაკიანი, მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველი ამხ. დ. გ. შარაშიძე.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.

განხილულ საკითხზე პარტიული აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია. (საქინფორმი).

## მინდვრებსა და პლანტაციებზე





ყოველდღე მარნეულის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თავზე დაფრინავენ სასოფლო-სამეურნეო ავიაციის თვითმფრინავები და შვეულმფრენები. ისინი დიდ და კარგ სამსახურს უწევენ სოფლის მშრომელებს, შეაქვთ სასუქები, ებრძვიან სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაავადებებს.

თითქმის ცხრა ათას ჰექტარზეა გადაჭიმული მარნეულის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მიწები. მათგან ოთხი ათასამდე ჰექტარი თავთავიან კულტურებს უჭირავს. ამხელა მინდვრების დამუშავება, ცხადია, მოითხოვს დიდძალ მუშახელს, დროს. სწორედ ამიტომ ასე უხარიათ მეურნეობის მესვეურთ და ყველა მშრომელს ავიატორთა მოსვლა.

ახლა ყოველდღე დაფრენენ ნათესების თავზე კოლმეურნეთა ფრთოსანი დამხმარეები. ავიატორებსაც თავისი წვლილი შეაქვთ ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების სიუხვის შექმნის, სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში.

სურათებზე: (ზევით, მარცხნიდან მარჯვნივ): საბჭოთა მეურნეობის მუშა ალექსანდრე ხარშილაძე, თვითმფრინავ „ან-2"-ის ეკიპაჟის მეთაური ემზარი ჩაჩავა, საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი მირზა ხალილოვი და მეორე პილოტი ნუგზარ მუხიგულაშვილი სწავლობენ საშემოდგომო ხორბლის ნათესებს, სადაც უნდა შეიტანონ მინერალური სასუქები. (ქვემოთ) „ან-2"-ს მინერალური სასუქი შეაქვს საშემოდგომო ხორბლის ნათესებში.

ფოტო ი. დავითაშვილისა. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## უპატაკებენ სამშობლოს

△ ტყიბული. (საკ. კორ.). რიტმულად მუშაობს ორჯონიკიძის სახელობის შახტის კოლექტივი. მეშახტეები დღითიდღე ზრდიან სათბობის მოპოვების ტემპს, აიაფებენ პროდუქციას, აუმჯობესებენ მის ხარისხს.

ორჯონიკიძელებმა მორიგი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს. 20 მარტს, ვადაზე თერთმეტი დღით ადრე, უპატაკეს „შავი ოქროს" მოპოვების პირველი კვარტალის საწარმოო გეგმის შესრულება.

შახტის კოლექტივმა სათბობის ამოღება 40 პროცენტით გაზარდა, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

△ ახალციხე. (საკ. კორ.). აქატ-დიატომიტის მაღაროთა სამმართველოს კოლექტივმა 108 პროცენტით შეასრულა პირველი კვარტალის საწარმოო დავალება და სამშობლოს 18 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მისცა.

დაწინაურდა დიატომიტის შახტის მაღარო, რომელმაც გეგმის გადამეტებით 800 ტონა დიატომიტი ამოიღო.

ამ დღეებში აქატის კარიერებზე მიიღეს 1,6 კუბმეტრის მოცულობის ჩამჩიანი ახალი ექსკავატორები, რაც დააჩქარებს კარიერის მოსამზადებელი სამუშაოების წარმოებას, გაადიდებს აქატის მოპოვებას.

△ წითელწყაროს ყველ-კარაქის ქარხანამ წარმატებით დაიწყო შვიდწლედის დამამთავრებელი წელი. აქ პირველი კვარტალის დავალება 10 მარტისათვის დიდი გადაჭარბებით შეასრულეს. გეგმით წარმოებას კოლმეურნეობებისაგან უნდა მიეღო 9.200 ცენტნერი რძე, ფაქტიურად მიიღო და გადაამუშავა 16.346 ცენტნერი. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 79 ათასი მანეთის პროდუქცია.

დაწინაურდა ყველის საამქრო, სადაც ოსტატებად ო. ალადაშვილი და გ. ფხოველიშვილი მუშაობენ. აქ 670 ცენტნერი უმაღლესი ხარისხის ყველი გამოუშვეს, გეგმა კი 130 ცენტნერს ითვალისწინებდა.

გ. კაკალაშვილი.

წულუკიძის აბრეშუმის ძაფსაღებსაგრეხი ფაბრიკის კოლექტივმა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის საწარმოო დავალება 20 მარტისათვის გადაჭარბებით შეასრულა. სამშობლოს 1 მილიონ 454 ათასი მანეთის პროდუქცია მისცა. მნიშვნელოვანი რაოდენობით დაზოგა ნედლეული, საწვავი და ელექტროენერგია. შრომის ნაყოფიერების ზრდამ გეგმით გათვალისწინებულს გადააჭარბა.

მოსკოველთა და ლენინგრადელთა მოწოდების პასუხად ფეიქრები სულ უფრო აუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს.

გ. გეგუჩაძე.

## უნგრული კულტურის დღეები

1 აპრილს საბჭოთა კავშირში იწყება უნგრული კულტურის დღეები, რომლებიც მიეძღვნება მოძმე ხალხის დიდ დღესასწაულს — ფაშიზმისაგან უნგრეთის განთავისუფლების 20 წლისთავს.

მოსკოვში, კიევსა და სხვა ქალაქებში გაიმართება საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საზეიმო კრებები, საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საღამოები. უდიდეს ბიბლიოთეკებში გაიხსნება იმ წიგნების გამოფენები, რომლებიც გამოცემულია უნგრეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირში. მოძმე ქვეყნის მწერლები და კომპოზიტორები მონაწილეობას მიიღებენ საღამოებში, რომლებიც მიეძღვნება უნგრულ ლიტერატურასა და მუსიკას. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკიდან ჩამოსული სტუმრები მიწვეული არიან აგრეთვე უნგრული ფილმების ფესტივალებზე, რომლებიც გაიმართება მოსკოვში, ლენინგრადში, გორკსა და ტალინში. ხალხური მუსიკისა და ცეკვის მოყვარულები ამ დღეებში გაეცნობიან უნგრეთის ეროვნული ანსამბლის „რაიკოს" ხელოვნებას.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა



### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულის შედგენისა და გამოცემის წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. გაჩეჩილაძე პოლიევქტ ლუკას-ძე — მე-7 ტომის რედაქტორი.
2. გიგინეიშვილი ივანე მოსეს-ძე — მთავარი რედაქციის წევრი, მე-8 ტომის რედაქტორი.
3. თოფურია ვარლამ ტრიფონის-ძე — მთავარი რედაქციის წევრი, მე-3 ტომის რედაქტორი.
4. კახაძე ოტია ილარიონის-ძე — მე-5 ტომის რედაქტორი.
5. კეცხოველი ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე — მთავარი რედაქციის წევრი.
6. კუპრაძე ვიქტორ დიმიტრის-ძე — მთავარი რედაქციის წევრი.
7. ლომთათიძე ქეთევან ბესარიონის ასული — მთავარი რედაქციის წევრი, მე-7 ტომის რედაქტორი.
8. ლომოური თამარ ნიკოლოზის ასული — მთავარი რედაქციის წევრი, რეცენზენტი.
9. მენთეშაშვილი სტეფანე ბაგრატის-ძე — მთავარი რედაქციის წევრი, მე-7 ტომის რედაქტორი.
10. მესხიშვილი მერი ვასილის ასული — მე-6 ტომის რედაქტორი.
11. ფოჩხუა ბიძინა არსენის-ძე — მე-8 ტომის რედაქტორი.
12. შარაძენიძე თინათინ სიმონის ასული — მე-6 ტომის რედაქტორი.
13. ჩიქობავა არნოლდ სტეფანეს-ძე — კომისიის თავმჯდომარე, მთავარი რედაქტორი, I და IV ტომების რედაქტორი.
14. წერეთელი გიორგი ვასილის-ძე — მთავარი რედაქციის წევრი, მეორე ტომის რედაქტორი.
15. ჭაბაშვილი მიხეილ ნიკოლოზის-ძე — კომისიის სწავლული მდივანი, მე-4 ტომის რედაქტორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

ქ. თბილისი, 31 მარტი, 1965 წ.

## მუშათა კადრები სახალხო მეურნეობას

მოსკოვი, 30 მარტი. (საქინფორმის კორ.). შვიდწლედის დამდეგიდან ჩვენი ქვეყნის პროფესიულ-ტექნიკურმა სასწავლებლებმა მოამზადეს და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში სამუშაოდ გაგზავნეს ოთხ მილიონნახევარი კვალიფიციური მუშა.

დღეს მოსკოვში გაიხსნა პროფესიულ-ტექნიკური განათლების რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო და საქალაქო ორგანოების ხელმძღვანელთა თათბირი, რომელშიც მონაწილეობენ საკავშირო პროფსაბჭოს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები. თათბირი მიეძღვნა კვალიფიციური კადრების მომზადებისა და მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ბულგაკოვმა.

მიმდინარე წელს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები ქიმიური, მეტალურგიული, სათბობის, ენერგეტიკული და მანქანათსაშენებელი მრეწველობის საწარმოებსა და მშენებლობებზე გაგზავნიან მილიონამდე თავიანთ აღზრდილებს. უფრო მეტ კადრებს ამზადებენ სოფლის მეურნეობისათვის, მსუბუქი და კვების მრეწველობის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის.

## ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

მინსკი, 30 მარტი. (საქინფორმის კორ.). გაიმართა ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმზე განიხილეს ორგანიზაციული საკითხები. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში კ. ტ. მაზუროვის სამუშაოდ გადასვლასთან დაკავშირებით ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გაათავისუფლა იგი ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისა და ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობისაგან.

ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია პ. მ. მაშეროვი, მეორე მდივნად — თ. ა. სურგანოვი.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა კ. ტ. მაზუროვმა.

## კვარტალური გეგმა — ვადამდე

კიევი, 30 მარტი. (საქინფორმის კორ.). უკრაინის სს რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა ვადამდე — 29 მარტს დაამთავრეს მთლიანი პროდუქციისა და მეტწილ უმთავრეს ნაწარმთა გამოშვების პირველი კვარტალის გეგმა. გეგმის გადაჭარბებით უკვე ამოღებულია 2,3 მილიონი ტონა ქვანახშირი, 500 ათასამდე ტონა რკინის მადანი, ნაწარმოებია 190 ათასი ტონა ფოლადი, 50 ათასი ტონა მინერალური სასუქი, აგრეთვე მნიშვნელოვანი რაოდენობით ფერადი მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, საშენი მასალებისა და სახალხო მოხმარების პროდუქცია.

ჩვენი დიდი სამშენებლო

რესპუბლიკის მრეწველობამ აგრეთვე გადაჭარბებით შეასრულა შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება.

## უმაღლესი განათლების მქონე ჯარისკაცთა, მატროსთა, სერჟანტთა და ზემდეგთა ნამდვილი სამხედრო სამსახურის ვადის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 27 მარტის ბრძანებულებით უმაღლესი განათლების მქონე ჯარისკაცებს, მატროსებს, სერჟანტებსა და ზემდეგებს დაუწესა ნამდვილი სამხედრო სამსახურის ვადა ერთი წელი. თუ დადებითი ატესტაცია ექნებათ, ეს პირნი დაიშვებიან გამოცდებზე თადარიგის ოფიცრის წოდების მისაღებად. გამოცდების ჩაბარების ვადებსა და წესს ადგენს თავდაცვის სამინისტრო.

1965 წლიდან სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ დღის, საღამოსა და დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებლებში, მათს ფილიალებში, ფაკულტეტებზე და განყოფილებებში, აგრეთვე ქარხანა-უმაღლეს სასწავლებლებში ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევის ვადა უგრძელდებათ უმაღლესი განათლების მიღებამდე.

ბრძანებულება შეტანილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

(საქინფორმი).

## ბეჯითი შრომით

თერჯოლა. (საკ. კორ). 1.200 ჰექტარი უჭირავს თერჯოლის რაიონის საკოლმეურნეო ზვრებს. ამაზე ბევრად მეტია კოლმეურნეთა ვენახები. ახლა საკოლმეურნეო ბაღ-ვენახებში თავდადებული შრომაა. თერჯოლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ და ზედა საზანოს კოლმეურნეობა „წითელმა ოქტომბერმა" უკვე დაამთავრეს ვენახებში საგაზაფხულო სამუშაოები, გათოხნეს-გადაბარეს ნიადაგი, შეიტანეს სასუქები.

ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც ცნობილი მევენახე ვ. ნემსაძე უძღვება, ყოველ ჰექტარზე 80 ცენტნერი ყურძნისათვის იბრძვის. ამავე კოლმეურნეობის მერგოლეური, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გრ. ფორჩხიძე თვითეულ ჰექტარზე 100 ცენტნერ ყურძენს გვპირდება. ასეთივე ვალდებულებები აიღეს საზანოელმა ნ. ქურციკიძემ, ღვანკითელმა გ. ქარქაშაძემ. ისინი შეეჯიბრნენ პირობის შესრულებას.

მაგრამ დასანანია, რომ ბევრ კოლმეურნეობაში დიდია სიმეჩხრე. რაიონში იგი 110 ათას ძირს აჭარბებს, ხოლო დაკნინებულია 72 ჰექტარი ვენახი. გადაწყვიტეს წელს შეავსონ მეჩხერი ადგილები. ამისათვის აღდგენილ იქნება სადედე მეურნეობა 40 ჰექტარზე, შეიქმნება ახალი სადედე მეურნეობა 12 ჰექტარზე, რითაც რაიონის მევენახეები უზრუნველყოფილი იქნებიან საკუთარი ნერგით.

მესიმინდეებიც გავიდნენ სალაშქროდ. დაითესა პირველი ათეული ჰექტარები. წელს თერჯოლელები ყველა კულტურას 6.000 ჰექტარზე დათესავენ. 50 ჰექტარზე განხორციელდება კომპლექსური მექანიზაცია. სიმინდის თესვაზე კოლმეურნეობათა 38 და „საქსოფლტექნიკის" 13 ტრაქტორი მუშაობს. ტექნიკას კარგად იყენებენ გოდოგნის, ეწერის, ბაღდუბნის, კვახჭირის კოლმეურნეობები. „საქსოფლტექნიკამ" შექმნა მექანიზატორთა ბრიგადა, რომელიც უმთავრესად ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს ეხმარება.

სოფელ გოდოგნის კოლმეურნეობაში შეიქმნა მესიმინდეთა რაიონული სკოლა, რომელსაც მოწინავე ბრიგადირი გ. გიორგაძე ხელმძღვანელობს. აქვე პრაქტიკული დახმარებისათვის მიმაგრებულია „საქსოფლტექნიკის" მთავარი ინჟინერი ბ. ლვანიძე. განზრახულია ამ დღეებში ჩატარდეს მესიმინდეთა სკოლის მეცადინეობა და მოეწყოს საჩვენებელი თესვა.

### ბაიდოშვილის ბრიგადაში

600 ჰექტარი მზესუმზირა უნდა დათესონ სიღნაღის რაიონის მაღაროს კოლმეურნეობის მექანიზატორებმა. აქ ადრევე მოემზადნენ თესვისათვის. ტრაქტორისტები ა. ყანდაშვილი, ი. ბეჟაშვილი, ჯ. მათეშვილი და ვ. ნოვიკოვი, რომელთაც სათავეში უდგას სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი, საქართველოს დამსახურებული მექანიზატორი ი. ბაიდოშვილი, ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

ასევე კარგად მუშაობენ მზესუმზირას თესვაზე ულიანოვკის კოლმეურნეობაში. აქაურ ტრაქტორისტებს ა. არეშინს, ლ. მარკუშინსა და ვ. არეშინს მზესუმზირას თესვასთან ერთად ნაკვეთში მინერალური სასუქი შეაქვთ.

ს. ბეროშვილი.

## კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების შედეგების შესახებ

### საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა შეაჯამა რესპუბლიკის საწარმოების მიერ 1964 წლის კოლექტიური ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების შედეგები.

ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების, კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის შედეგად რესპუბლიკის მშრომელებმა ვადამდე შეასრულეს შვიდწლედის მეექვსე წლის დავალებანი და ათეულ მილიონობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვეს. სამრეწველო წარმოების მოცულობა 1963 წელთან შედარებით 3,2 პროცენტით გადიდდა.

ხორციელდებოდა საწარმოო პროცესთა და შრომატევად სამუშაოთა შემდგომი მექანიზაცია და ავტომატიზაცია. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ათვისებულია მილების თერმოდიფუზიური წესით მოლითონების ტექნოლოგია. ტყიბულის ქვანახშირის ტრესტისა და ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის შახტებში დაინერგა კონვეიერული ხაზების ავტომატიზაცია და დისტანციური მართვა. ბევრმა ჩაის ფაბრიკამ განახორციელა ბაიხაო ჩაის ნახევარფაბრიკატების დახარისხების მექანიზაცია, დანერგა მწვანე და შავი ბაიხაო ჩაის კომბინირებული გადამუშავების მეთოდი და სხვ.

წლითიწლობით ვითარდება მასობრივი გამომგონებლობა და რაციონალიზაცია. 1964 წელს წარმოებაში დაინერგა რაციონალიზატორთა 15.334 წინადადება, რის შედეგად მიღებულია 18 მილიონზე მეტი მანეთი წლიური ეკონომია. შრომის ნაყოფიერება გასულ წელს 1963 წელთან შედარებით გაიზარდა მრეწველობაში 0,6 პროცენტით, მშენებლობაში — 7,8 პროცენტით.

1964 წელს წარმატება მოიპოვეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. 1965 წლის მოსავლისათვის საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესვის გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით. გადაჭარბებით შესრულდა სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეკეთების გეგმა.

ამავე დროს, კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების მასობრივმა შემოწმებამ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 60 ათასზე მეტმა პროფაქტივისტმა და სამრეწველო საწარმოთა, მშენებლობათა, საბჭოთა მეურნეობების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, გამოავლინა მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში.

1964 წელს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს 67 საწარმოს არ შეუსრულებია მთლიანი პროდუქციის გამოშვების დაწესებული გეგმები. მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკური, საფეიქრო მრეწველობის მთელი რიგი საწარმოები ჯერ კიდევ ვერ მუშაობენ რიტმულად. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სახალხო მეურნეობის საბჭოს ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსაშენებელი, ხისდამმუშავებელი და ქაღალდის მრეწველობის, ტყიბულის ქვანახშირის ტრესტისა და ზოგიერთ სხვა საწარმოში დამაკმაყოფილებლად ვერ სრულდება ახალი საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის ვალდებულებანი.

ბევრი საწარმო, მშენებლობა და საბჭოთა მეურნეობა ნაკლებ ყურადღებას უთმობს მშრომელთა კულტურული დასვენებისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციას, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობას.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა სახალხო მეურნეობის საბჭოს, რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებს, საოლქო საბჭოებს, პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებს გამოარკვიონ რა მიზეზით არ შესრულდა კოლექტიური ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებანი.

## ნასერის განცხადება

კაირო, 31 მარტი. (საქინფორმი). გუშინ გამალ აბდელ ნასერი ექვსი წლის ვადით არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტად ხელახლა არჩევის შემდეგ პირველად თავმჯდომარეობდა მთავრობის სხდომას.

გამალ აბდელ ნასერმა მინისტრთა კაბინეტის წევრების წინაშე სიტყვა წარმოთქვა რესპუბლიკის საშინაო მდგომარეობის საკითხზე და აღნიშნა, რომ არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ ახლა დაიწყო განვითარების ახალი ეტაპი. ახალი პერიოდი, თქვა პრეზიდენტმა, ძველი ეტაპის მხოლოდ გაგრძელება როდი იქნება ჩვენს განვითარებაში. არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში უნდა მოხდეს ცვლილებანი, რომლებიც შეეხება არა სხვადასხვა სამსახურებრივ გადანაცვლებას, არამედ ახლანდელ სისტემას. ახალ ეტაპზე, ხაზგასმით აღნიშნა ნასერმა, საჭიროა მობილიზაცია ვუყოთ ძალებს ხალხთა მასების მდგომარეობის ყოველმხრივი შესწავლისათვის.

## ნატოს საბჭოს რიგგარეშე სხდომა

პარიზი, 31 მარტი. (საქინფორმი). დღეს აქ მკაცრი საიდუმლოების ვითარებაში გაიხსნა ნატოს საბჭოს რიგგარეშე სხდომა. მოელიან, რომ ამ სხდომაზე განიხილავენ იმ მდგომარეობის საკითხებს, რომელიც შეიქმნა ვიეტნამში, ახლო და შუა აღმოსავლეთში, კვიპროსში და სხვა მომწიფებულ საერთაშორისო პრობლემებს.

## აგრესორები არ ცხრებიან

ნიუ-იორკი, 31 მარტი. (საქინფორმი). ამერიკისა და სამხრეთ ვიეტნამის 45 ბომბდამშენი ერთხელ კიდევ თავს დაესხა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას.

ლონდონი, 31 მარტი. (საქინფორმი). ამერიკისა და სამხრეთ ვიეტნამის სამხედრო-საჰაერო ძალების დაახლოებით 100 თვითმფრინავი დღეს დაესხა თავს სამხრეთვიეტნამელ პარტიზანთა ბაზას 50 მილზე საიგონის ჩრდილო-აღმოსავლეთით. როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი საიგონიდან იუწყება, დაბომბვის რაიონში ჯუნგლებს ცეცხლი უკიდია.

## პროვოკაციული თავდასხმა

პეკინი, 31 მარტი. (საქინფორმი). სინხუას სააგენტო იუწყება: 29 მარტს 19 საათიდან 23 საათსა და 45 წუთამდე ორმა ამერიკულმა ავიაგამანადგურებელმა სამჯერ დაუშინა ცეცხლი ჩინეთის თევზსაჭერ გემს ღია ზღვაში კუნძულ ჰაინანის დასავლეთით.

ამერიკის თვითმფრინავები პროვოკაციული მიზნით თავს დასტრიალებდნენ ჩინეთის თევზსაჭერ გემს და განაგრძობდნენ მის დევნას მას შემდეგაც კი, როცა გემი ჩინეთის ტერიტორიულ წყლებში შევიდა.

## პარტიზანთა წარმატება

ნიუ-იორკი, 31 მარტი. (საქინფორმი). დღეს სამხრეთვიეტნამელმა პარტიზანებმა ინტენსიური საზენიტო ცეცხლით ჩამოაგდეს ამერიკის სამი ვერტმფრენი და დააზიანეს 16 ვერტმფრენი ამერიკის უდიდესი სამხედრო ბაზის დანანგის მახლობლად. დახოცილია ორი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე და დაჭრილია 16.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების 25 ვერტმფრენმა დანანგის ბაზიდან მაშველი ძალები გადაჰყავდა მთავრობის ჯარებისათვის, რომლებიც გაათრებულ ბრძოლას ეწევიან ვიეტ-ანის სტრატეგიულად დიდმნიშვნელოვანი გამაგრებული საგუშაგოსათვის, რომელიც იცავს და-ნანგის ბაზისა და კუანგ-ტინის პროვინციის ცენტრის ქალაქ ტამკის მისადგომებს სამხრეთიდან.

## აფეთქდნენ ნაღმებზე

ნაღმებზე, რომლებიც ომანის ეროვნული განთავისუფლების რაზმებმა ჩამარხეს მისკატის რაიონში, აფეთქდა ინგლისის ოთხი სამხედრო მანქანა.

როგორც იუწყება ომანის წარმომადგენლობა კაიროში, აფეთქების შედეგად დაიღუპა 40 ინგლისელი ჯარისკაცი და ოფიცერი. (საქინფორმი).

## ცირანანა კვლავ აირჩიეს

პარიზი, 31 მარტი. (საქინფორმი). გუშინ მალგაშის რესპუბლიკაში გაიმართა პრეზიდენტის არჩევნები. არჩევნების შედეგად გაიმარჯვა რესპუბლიკის ახლანდელმა პრეზიდენტმა ფილიბერ ცირანანამ. არჩევნების საბოლოო შედეგები ჯერ არ გამოუქვეყნებიათ. მაგრამ როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ტანანარივიდან იუწყება, იმ მონაცემებით, რომლებიც უკვე არის, ფილიბერ ცირანანამ მიიღო ყველა მიცემული ხმის დაახლოებით 98 პროცენტი.

## წერილი პრეზიდენტს

ნიუ-იორკი, 31 მარტი. (საქინფორმი). 300 ამერიკელმა თვალსაჩინო მოღვაწემ დღეს გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში" გამოაქვეყნა ღია წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ლ. ჯონსონისადმი. წერილში ისინი მოითხოვენ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტონ სამხედრო ჩარევა სამხრეთ ვიეტნამში.

„გასული წლის ნოემბერში, — ნათქვამია წერილში, — მოგეცით ხმა, რადგან გვაშფოთებდა ბარი გოლდუოტერის აგრესიული პოლიტიკა. დღეს ვხედავთ, რომ თქვენი მთავრობა ვიეტნამში ახორციელებს იმავე პოლიტიკას, რომლის წინააღმდეგაც მივეცით ხმა. და ყოველივე ეს „თავისუფლებისათვის". ვისი თავისუფლებისათვის?

სამხრეთ ვიეტნამში არასოდეს არ გამართულა თავისუფალი არჩევნები. ვიეტნამელი ხალხი არ უჭერს მხარს „24 საათიან" მთავრობებს, რომლებსაც თავს ახვევენ მას სამხედრო გადატრიალებათა შედეგად. მას სურს ამ ძმათა მკვლელი ომის შეწყვეტა".

ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვა და სამხრეთ ქვეითი ჯარის ჯარისკაცების გადასხმა სამხრეთ ვიეტნამში, აღნიშნავენ წერილის ავტორები, აშკარად ქმნის მსოფლიო ომის საფრთხეს.

დასასრულ ისინი მოუწოდებენ პრეზიდენტს დაუყოვნებლივ შეაწყვეტინოს ცეცხლი ვიეტნამში.

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებანი—მასებში!

# მრეწველობა—სოფელს

[illegible]

ლას მეცნიერ მუშაკებთან და გამომგონებლებთან ერთად, საქმიან წინადადებას იძლევიან ის ადამიანები, რომლებიც უშუალოდ მართავენ „საქართველოს“. წელს მეჩაიე კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მიიღებენ 500 ცალ უფრო სრულყოფილ „საქართველოს“.

წარმოებაშია „ჩა-900“ ტიპის მანქანა.

[illegible] ბაში. სასუქების შესატანი აპარატი დამონტაჟებულია ამავე ქარხნის მოდერნიზებულ „ტ-16-მჩ“ ტრაქტორზე. ჩაის პლანტაციების ღრმა გაფხვიერების სამუშაო მძიმე და შრომატევადია. გადაწყდა ამ სამუშაოებში დაინერგოს მექანიზაცია. ამავე ქარხნის კოლექტივმა სამისოდ შექმნა ნიადაგის ღრმა გამაფხვიერებელი მანქანა, რომელიც დამონ- [illegible]

## მექანიზატორთა პირობა

[illegible] კომპლექსური მექანიზაციის დანერგვა. მოხსენებით გამოვიდა „საქსოფლტექნიკის“ ზესტაფონის გაერთიანების მმართველი ა. ბარბაქაძე. კამათში მონაწილეობა მიიღეს „საქსოფლტექნიკის“ ზესტაფონის გაერთიანების სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელმა ვ. ხათრიძემ, ამავე გაერთიანების ტექნიკური მომსახურების სადგურის უფროსმა [illegible] რიძემ, არგვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგემ ო. ბაკურაძემ, სოფელ მეორე სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელმა ს. ჭულუხაძემ და სხვ.

შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი შ. ვერულაშვილი.

[illegible] თეს რაიონის ყველა მექანიზატორს გაჩაღონ ლაშქრობა უხვი მოსავლისათვის.

მათი პირობა ასეთია: წელს ნაცვლად 8.858 ჰექტარისა მოხნავენ 10.000 ჰექტარს, მრავალწლიანი ნარგავებისათვის ნიადაგს მოამზადებენ 300 ჰექტარზე, გეგმის ზევით აითვისებენ 100 ჰექტარ მიწას, კომპლექსური მექანიზაციით დაამუშავებენ 200 ჰექტარ სიმინდს.

# ურეხელებმა გადაწყვიტეს

**დიდი** შრომითი აღმავლობა გამოიწვია მარტის პლენუმმა ბათუმის რაიონის ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეთა შორის.

აქაურმა შრომელებმა შარშან დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის გეგმები. საშუალოდ ჰექტარზე 7.290 კილოგრამი „მწვანე ოქრო“ მოკრიფეს. ცხრა-ცხრა ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი მიიღეს საშუალოდ ჰექტარზე იმ ბრიგადების მეჩაიეებმა, რომლებსაც ა. ვარშანიძე და ხ. კიკნაძე ხელმძღვანელობენ.

— შარშანდელ წარმატებებს კიდევ უფრო გავამრავლებთ, — თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ხ. გორგილაძემ.

კოლმეურნეობაში დროულად გასხლეს ჩაის ბუჩქები, დაბარეს, სასუქები შეიტანეს, 10 ჰექტარზე გააშენეს ჩაის ახალი პლანტაცია. 19 ჰექტარზე მოამზადეს ნიადაგი ბაღჩეულ-ბოსტნეული კულტურების გასაშენებლად.

როდესაც აგიტატორებმა ჰ. დევაძემ და შ. კონცელიძემ კოლმეურნეებს გააცნეს პლენუმის გადაწყვეტილებები, მეჩაიეებმა, მეციტრუსეებმა, მებოსტნეებმა ერთსულოვნად მოიწონეს პარტიის ღონისძიებები და ახალი, გადიდებული ვალდებულებები იკისრეს.

სოციალისტური შრომის გმირი, ნოვატორი მეჩაიე ხაჯერ გორგილაძე, რომელმაც შარშან 0,35 ჰექტარ პლანტაციაში 4.500 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფა, წელს 5 ათას კილოგრამზე მეტის მიღებას ვარაუდობს. გადიდებული ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე მეჩაიეებმა ხ. ვარშანიძემ, ნ. წითელაძემ, მებოსტნეებმა მ. თებიძემ და ნ. ბერიძემ. (საკ. კორ.).

## ეცნობიან, სწავლობენ

მახარაძე. (ჩვენი კორ.). ამ დღეებში რაიონის სოფლის მშრომელები გულმოდგინედ განიხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, სახავენ თავიანთი მეურნეობის განვითარების, მოსავლიანობის ზრდის, მეცხოველეობის აღმავლობის კონკრეტულ გზებს. კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობის მუშები ახალი ძალით აჩაღებენ საგაზაფხულო სამუშაოებს. მიმდინარეობს ჩაის პლანტაციების მასობრივი სხვლა, დამაკმაყოფილებელია საკოფეინე მასალის დამზადების ტემპი.

მშრომელთა საწარმოო და პოლიტიკურ აქტივობას სათავეში უდგანან სოფლის პარტიული ორგანიზაციები. მელექედურის, ძიმითის, ნატანების, შრომის კოლმეურნეობებში, ლაითურის საბჭოთა მეურნეობასა და სხვაგან აგიტატორებმა მოაწყეს პირველი საუბრები პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის მასალების ირგვლივ.

„პლენუმის შედეგები და ჩვენი ამოცანები“ — ასეთი თემით გამოვლენ მშრომელთა წინაშე პარტიის რაიკომის მომხსენებლები.

# მატერიალური დაინტერესება მოსავლის დიდი ბერკეტია

მატერიალური დაინტერესების მიზნით გადავწყვიტეთ მესიმინდეებისათვის მიგვეცა გეგმის გადაჭარბებით შესრულების შემთხვევაში გეგმის ზევით მიღებული მოსავლის 50 პროცენტი.

სოფელ ზანის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში გასულ წლებში საშუალოდ ჰექტარზე სიმინდის მოსავალი 10 ცენტნერს არ გადასცილებია. ეს ძირითადად შრომის მოუწესრიგებლობით და მატერიალური დაინტერესების პრინციპის გაუტარებლობით აიხსნებოდა.

კოლმეურნეობის გამგეობამ და პარტიული ორგანიზაციის ბიურომ შვიდწლედის მეექვსე წელს განახორციელეს მატერიალური დაინტერესების პრინციპი. თვითეულ კოლმეურნეს გავაცანით ჩვენს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები. ამან კარგი შედეგი მოგვცა. 1964 წელს საშუალოდ ჰექტარზე 21 ცენტნერი მარცვალი მივიღეთ ნაცვლად 18 ცენტნერისა. წინა წელთან შედარებით ორჯერ და უფრო მეტად გადიდდა სიმინდის წარმოება, გაიზარდა ჩაის მოსავალიც.

კოლმეურნეობაში გამოჩნდნენ უხვი მოსავლის ოსტატები. თუ წინათ მოწინავე კოლმეურნეთა რაოდენობა თითზე ჩამოსათვლელი იყო, ახლა აქ 200-ზე მეტი მოწინავე მეჩაიე და მესიმინდეა, რომლებსაც უხვი მოსავლის მიღებისათვის დიდი მატერიალური ანაზღაურება ეძლევათ.

სიმინდის უხვი მოსავლის მიღებით თავი ისახელა ტ. ჯალაღონიამ. მან ჰექტარზე 85 ცენტნერი მარცვალი მიიღო, რისთვისაც პრემიის სახით 43 ცენტნერი მარცვალი მიეცა. სიმინდის მაღალი მოსავალი მიიღეს აგრეთვე შ. ნაჭყებიამ, კ. ხარებავამ, ა. შონიამ, ფ. ჩხეიძემ.

მატერიალური დაინტერესების პრინციპი ფართოდ დავნერგეთ აგრეთვე მეჩაიეობასა და მეცხოველეობაში. გადავწყვიტეთ შემდგომშიც განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ მატერიალური დაინტერესების პრინციპის ფართოდ დანერგვას, რაც უდავოდ შეგვიწყობს ხელს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში.

**ვ. კუპრეიშვილი,**
ცხაკაიას რაიონის სოფელ ზანის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.



საგურამოელი მეცხოველეები მოწინავეებად ითვლებიან მცხეთის რაიონში. მათ ახალი წარმატება მოიპოვეს პირველ კვარტალში. მოწველეს 25 ტონით მეტი რძე, ვიდრე შარშან ამავე პერიოდში. ახლა უფრო აძლიერებენ მუშაობის ტემპს, რათა საქმით უპასუხონ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

მოწინავე მწველავები ს. მწითური, გ. გვარჯალაძე, ე. ლაბაური (სურათზე მარცხნიდან მარჯვნივ) იმისათვის იბრძვიან, რომ წელს თვითეულმა შარშანდელთან შედარებით 500 კილოგრამით მეტი რძე მიიღოს.

ფოტო ი. დავითაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

# ინსტიტუტი არ ივიწყებს აღზრდილებს

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა ბრიგადა ამ დღეებში გორის რაიონს ეწვია. ამ რაიონში მუშაობს სოფლის მეურნეობის 200 სპეციალისტი, რომელთა უმრავლესობას უმაღლესი განათლება მიღებული აქვს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, და აი აღმზრდელები ჩავიდნენ თავიანთ აღზრდილებთან, რათა ენახათ, თუ როგორ ართმევენ ისინი პრაქტიკულად თავს სამუშაოს, და სასარგებლო რჩევა-დარიგება მიეცათ მათთვის. პროფესორ-მასწავლებლები შეხვდნენ და ესაუბრნენ გორის რაიონის ხელმძღვანელ მუშაკებს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა უნარიანად, შემოქმედებითად უძღვება დაკისრებულ საქმეს. მთელ რაიონში გაუთქვამთ სახელი სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტის მიერ მომზადებულ სპეციალისტებს შ. ხუციშვილს, თ. ცერცვაძეს, ს. ჯირკვალიშვილს, თ. გოციროძეს, ბ. გიგუაშვილსა და სხვებს.

შეხვედრებსა და საუბრებში აღინიშნა ის ნაკლოვანებანი, რაც გორის რაიონის სოფლის მეურნეობას ახასიათებს. მაგალითად, მებოსტნეობის კათედრის გამგემ პროფესორმა ბ. კვაჭაძემ შენიშვნები მისცა სოფლის მეურნეობის სამმართველოს მუშაკებს იმის შესახებ, რომ გორის რაიონში ჩამორჩენილია მებოსტნეობის მეთესლეობა, დაბალია ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობა. მან სპეციალისტებს ურჩია დააზუსტონ ბოსტნეულის ნათესების სტრუქტურა, უნდა მოხდეს ცალკეულ მეურნეობებში ნათესების კონცენტრაცია სპეციალიზებულ მეურნეობებად გარდაქმნის მიზნით. ეს კი გააადვილებს კომპლექსური მექანიზაციის დანერგვას.

პროფესორმა ვ. ქანთარიამ მევენახე სპეციალისტებს მიუთითა უფრო მეტი სიფხიზლე გამოიჩინონ ვაზის დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლაში. პროფესორმა ა. მენაღარიშვილმა აგრონომებს სათანადო რჩევა მისცა სასუქების ეფექტურად გამოყენების შესახებ.

კურსდამთავრებულებს საქმიანად ურჩიეს და ნაკლოვანებათა გამოსწორების კონკრეტული გზები დაუსახეს პროფესორებმა გ. შხვაცაბაიამ, ი. პატიაშვილმა, დოცენტებმა ი. თუშიშვილმა, გ. დევანოიძემ, ვ. ჭიპაშვილმა და სხვ.

თავის მხრივ კურსდამთავრებულებსაც ჰქონდათ წინადადებები და სურვილები, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს მათი მომავალი კოლეგების აღზრდას.

პროფესორ-მასწავლებელთა და კურსდამთავრებულთა შეხვედრების შედეგებსა და გორის რაიონში მომუშავე მოწინავე სპეციალისტების საქმიანობას სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მრავალტირაჟიანმა გაზეთმა „საბჭოთა აგრონომმა“ სპეციალური ნომერი მიუძღვნა.

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კურსდამთავრებულებთან კავშირის განმტკიცების მიზნით განხორციელებული ეს სასარგებლო ღონისძიება სასურველია მისაბაძი გახდეს ჩვენი რესპუბლიკის სხვა უმაღლესი სასწავლებლებისათვის.

**ვ. კასრაძე,**
მრავალტირაჟიან გაზეთ „საბჭოთა აგრონომის“ რედაქტორი.

# ბურჯი მშობლიური ენისა

## ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის გამოსვლის გამო

**ე**რთი დიდი სიხარული კიდევ მოგვიტანა 1965 წელმა — გამოვიდა მერვე, უკანასკნელი ტომი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისა“. ამით გასრულდა ჩვენი ერის ერთ-ერთი უდიდესი კულტურულ-მეცნიერული მონაპოვრის შექმნა.

სადღეისოდ იგი როგორც მეცნიერული დამუშავებით, ისევე სისრულით ჩვენი ლექსიკოგრაფიის უდავო გვირგვინია და თავისი მნიშვნელობით შორს სცილდება მხოლოდ მეცნიერულსა და მწიგნობრულ საზღვრებს.

მეტყველება ხომ უდიდესი საზოგადოებრივი მოვლენაა. იგი ადამიანის ძირეულ ჩვევებს ემყარება და ჩვენს „გაადამიანებაში“ გადამწყვეტი ღვაწლი მიუძღვის.

მშობლიური ენა, გარდა თვისტომთა ურთიერთგაგებისა, ერის სულიერი სამყაროს მკაფიო გამოხატულებაა, მისი თვითმყოფადობის, აზროვნების უნარისა და ხასიათის უტყუარი სახეა. ენობრივ სამოსელში ჩამონაკვთულ ფენებად არის გამჟღავნებული ნიჭის, ყოფის, ისტორიული ბედისა და საცხოვრებელი მიწა-წყლის შუალობითი და უშუალო ამოძახილი.

ქართული ენა იბერიულ-კავკასიური, ოდესღაც დიდი ენობრივი და ეთნიკური ოჯახის ერთადერთი სამწერლობო ენაა. იგი დამოუკიდებელი სამყაროს წარმომადგენელია და ჯერ კიდევ მრავალ პრეისტორიულ საიდუმლოებათა გასაღები.

მისი სიტყვიერი ავლადიდება — ეს ქართველური ტომების არა მარტო მრავალათასწლოვანი ერთობლივი შემოქმედებაა, არამედ მისი კულტურულ-ეროვნული დუღაბიც არის და ძირითადი თავდაცვითი ფარიც. დღეს იგი ჩვენი სახელმწიფოებრივი ენაც არის!

დედა-ენას თავისი ისტორიის განმავლობაში ჟამით ჟამამდე გამოუჩნდება ხოლმე სიტყვის ალამდარი — დედა-წიგნი, რომელიც საუკუნეთა წიგნად მოევლინება და თავის შთამბეჭდავი, აღმავლობის ძვრებით აღსავსე ფურცლებითა და კაბადონებით მთელ ეპოქას წამოიღებს. იგი, მიუხედავად თავისი დარგობრივი თუ ჟანრობრივი ხასიათისა, ენობრივი განვითარების ახალ მიჯნასაც შეიცავს და მომავლის საწინდრადაც დაისახება.

ვცადოთ ზოგი ასეთი ახალი მიჯნის წიგნის შერჩევითი დასახელება:

„წამებაი წმიდისა შუშანიკისა“;

„დაბადების“ ძველი თარგმანები;

ექვთიმესა და გიორგი მთაწმინდელების ნაღვაწი წიგნები;

„ქართლის ცხოვრება“ (დავით აღმაშენებლისა და თამარის ისტორიკოსები);

„ვეფხის ტყაოსანი“ (ყოველი თვალსაზრისით ეპოქალური);

„სიტყვის კონა“ საბა-სულხანისა;

ილიას, აკაკის, ვაჟას რჩეული და იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“;

ესეც „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“!

და თუ სულ ახალ დრომდე ჩვენი ერის ლექსიკური საგანძური და დასაყრდენი საბას, თავისი დროისათვის მართლაცდა სწორუპოვარი „სიტყვის კონა“ იყო, ამიერით ჩვენი ენობრივი ხერხემალი, თანამედროვე ენათმეცნიერულ პრინციპებზე აგებული, რვატომიან „სიტყვის ძნას“ ემყარება.

ჩვენს დროში ულექსიკონო ენა, რარიგ ხანდაზმულიც უნდა იყოს იგი, მოსწავლესა ჰგავს, რომელსაც ჯერ სიმწიფის ატესტატი არ გააჩნია.

ენა ხომ ყველაზე უფრო მჭიდე სულიერი დუღაბია ერისა, მით უფრო საკუთარ დამწერლობიანი ენა... და ჩვენი ტანწერწეტა, თავშარავანდა ასოებში შეხვეწილი და ჩამოქნილი ქართული სიტყვები იმ მუხლმაგარა და თვალშევარდნა ჩოხოსნებსა და აბჯროსნებს ჰგვანან, რომლებიც თვალუწვდენელი დროის სიღრმიდან, უთვალავი მტრებისაგან მკერდითა და შეგნებით იცავდნენ ჩვენს ერსა და მის თვითმყოფადობას. და როდესაც ჩვენ ვწერთ ან ვამბობთ სიტყვა — სამშობლოს, შიგ არა მარტო ჩვენს ხალხს, მიწა-წყალსა თუ ძეგლებს ვგულისხმობთ, არამედ ჩვენს ენასაც, დედა-წიგნებსაც და გუთნისდედურად გავლებულ კალმის კვალსაც!

და სწორედ დიდი ვაშა იმ მეცნიერებსა და სიტყვის მოღვაწეებს, რომლებიც სათავეში და თანაფერხულში ჩაუდგნენ ამ უაღრესად საჭირო საქმეს და რვაკარიანი ლექსიკონი ფრიადის რუდუნებითა და თავდადებით სახელოვნად დაამთავრეს.

ამ ლექსიკონის გამო და ირგვლივ ალბათ ბევრი დაიწერება, ზოგ რამ სადავოსაც და უზუსტობასაც ალბათ აღმოუჩენენ მას... მაგრამ თითო-ოროლა სამიზეზო სწორუპოვარ მზეთუნახავსაც მოეპოვება, ჩვენს წინაშე კი 113000 მოქმედ სიტყვათა ლაშქარია, აღჭურვილი, დამარაგებული, ანბანწყობილი და კულტურის მებრძოლთა გონივრული სიტყვით გამართული.

ლექსიკონს ზუსტად შემუშავებული, მკაცრი მეცნიერული პრინციპები და დებულებები უდევს მყარ საფუძვლად და თავიდან ბოლომდე მიუცილებლად გასდევს.

ეს, უპირველეს ყოვლისა, საერთო რედაქტორის პროფესორ არნოლდ ჩიქობავას, მთავარი რედაქციისა და ტომების რედაქტორების დიდი დამსახურებაა.

ახლა, როდესაც სიტყვის ვეებერთელა სასახლე ბოლომდეა აშენებული, ბევრი რამ, რაც თავიდან თითქოს სადავოდ გამოსჩანდა, ახლა აღარ იწვევს წინააღმდეგობას.

შეეხები ერთ-ერთ ძირითადს.

ქართული ენის სირთულე — ზმნაშია, აქვეა მისი სიმდიდრეც. ვინც ჩვენი ენის სტიქიასა გრძნობს, იმან კარგად იცის ჩვენი ზმნების საოცარი მოქნილობისა და მჭევრობის შესახებისი. ქართული ოქროპირობა და ოქროკალმობა ზმნის ჯეროვანი დაუფლებით იწყება. უფრო მეტიც — ქართულში ყველაზე უფრო ხასიათქართული და თავდაცული სწორედ ზმნა არის და ჩვენი ახალი ლექსიკონის ავტორების დამსახურება იმაშიც მდგომარეობს, რომ მათ გაცილებით უფრო სრულად სწორედ ზმნა წარმოგვიდგინეს.

თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ ქართულ ენას, ღრმა წარსულშივე ინფინიტივზე ხელი აქვს აღებული. ჩანს, ჩვენი ენის ბუნებისათვის იგი არ ყოფილა აუცილებელი და აღარც გამომწიფდა. ამან განაპირობა ზმნისადმი ახალი მიდგომის ძიება.

ჩვენში, ნასესხები გზით დამყარებული ტრადიციის მიუხედავად, ლექსიკონის რედაქციამ უარყო ზმნის საწყისად ნაზმნარი არსებითი სახელი (მაგალითად, თესვა), თუმცა იგიც დატოვა ლექსიკონში, და ლექსიკურ ერთეულად მიიღო აწმყოს (მყოფადის) მესამე პირი (თესავს) და მისგან ნაწარმოები სიტყვები, მაგალითად, ითესავს, უთესავს და ა. შ.

ამან, მართალია, საკმაოდ გაადიდა ლექსიკური ერთეულების რაოდენობა, მაგრამ ზმნამ კი ლექსიკონში ღირსეული ადგილი და შესაფერისი ხვედრითი წონა მოიპოვა. ხოლო ახლად გამომზევებულ, განმარტებულ სიტყვათა მომრავლებით ლექსიკონი ვის დაუწუნებია?!

**რ**ოგორც აღვნიშნეთ, ჩვენში ახალი ლექსიკონი სრულიადაც არ მოსულა ცარიელ ადგილზე; მარტო საბა-სულხანის, ქართული სიტყვის ამ დიდი კალმოსნისა და მოკალმასის, ხსენებაც კმარა. დიახ, ყამირი არ ყოფილა, არც ჭირისუფლები მოჰკლებია ჩვენს მეტყველებას, მაგრამ „ქართლის ცხოვრების“ მძიმე ისტორიულ ვითარებათა გამო წაღმა-უკუღმა ნახნავ-ნაფარცხი კი ბლომად იყო.

მიუხედავად ამისა, ძველადაც და ახლაც ჩვენს ენას თავის საბალავროში მონოლითურობა და ჯავარი არ დაუკარგავს. იგი მაინც ერთი ყველაზე უფრო დაცული ენათაგანია მოძმე ერთა ენებს შორის.

ქართული ენის გამოთქმა-გამოხატვის შესაძლებლობა სავსებით დგას თანამედროვე მრავალდარგოვანი მეცნიერული მოთხოვნის სიმაღლეზე, ხოლო მისი მხატვრულ-კაზმული სიმდიდრე ხომ ცნობილია, თვით „განმარტებითი ლექსიკონი“ ამის უტყუარი და ფრიად დამაჯერებელი მოწმეთა მოწმეა!

მაგრამ ენის კრიალოსნის თავმოყრა, გამდიდრება, დაცვა-ხვეწა განა მარტო ლექსიკოგრაფებისა და მწერლების თავსატეხია. იგი ყოველი კულტურული ადამიანის შინაგან მოთხოვნილებად უნდა გადაიქცეს.

ქართული ანდაზა, ამბობს, „არცოდნა არცოდვააო!“, მაგრამ მშობლიური ენის მიმართ დაუდევრობა ზნეობრივი დაქვეითების პირველი ნიშანია.

ყოველ ლექსიკონს, მით უფრო განმარტებითს, ხალხის ცოცხალი მეტყველება და თანდროული მეცნიერულ-მხატვრულ-პოლიტიკური ლიტერატურა ასაზრდოებს. ამ მხრივაც ახალი ლექსიკონი მოწოდების სიმაღლეზე დგას. თუმცა ერთი შენიშვნა ნაჩქარევი გადახედვითაც ითქმის... თითქოს უცხოური სიტყვები უფრო გაბედულად არის წარმოდგენილი, ვიდრე ქართულ ნიადაგზე წარმოშობილი, თუნდაც ჯერ ფართოდ დაუმკვიდრებელი ნეოლოგიზმები და კომპოზიტები. ისრის გადახრა უცხოური ლექსიკისაკენ, მით უფრო ბარბარიზმებისაკენ, სახიფათოა, ხოლო „ქართულიზმისაკენ“ უარეს შემთხვევაში — უნაყოფო.

ჩვენ გვესმის, რომ უცხოური მასალა სტიქიურად იჭრება ენაშიც და ლექსიკონშიც, მაგრამ მარტო სტიქიურობას ხომ ვერ მივანდობთ ენას! ახლა იგი მართებულად სახელმწიფო, მეცნიერული, მწერლური, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მთელი ხალხის საზრუნავს წარმოადგენს.

სიტყვის გაქართულებასაც დიდი სიფრთხილე და ძიება სჭირდება. აქ ახლა მაგალითებს ვერ გამოვეკიდებით, მაგრამ თითო-ოროლას მაინც დავასახელებთ. მაგალითად, ლექსიკონში გაერიდნენ უკვე ხალხში გავრცელებულ, ქართულ თარგზე მორგებულ სიტყვას — **მიწიხაპიას** (ტექ. ტერმ. ლექსიკონში — მიწახაპია), და არჩეულია ნედლად ნათარგმნი — **მიწისმწოვარი და მიწის საწოვი**, შესაფერისად უნდა ყოფილიყო — **მტვერიხაპია და არა მტვერსასრუტი.** ან რა საჭიროა, ვთქვათ „კარუსელი“, როდესაც ხალხში უკვე გავრცელებულია და ლიტერატურაშიც გამოყენებული — **საბრუნელა...** მაგრამ ასეთ ჩრდილოვან წინწკლებს იმ ზღვა მასალაში, რომელიც დიდი გულმოდგინებითა და ზედმიწევნილობით არის დამუშავებული, საგანგებო წვლილვის დროს თუ მიაგნებს ლექსიკომანი.

ფართო მკითხველთან მიღწევის თვალსაზრისით უთუოდ გამართლებულია სიტყვების ბუდობრივად დალაგების უარყოფა. ეს ფრიად გაართულებდა ლექსიკონის საყოველთაო, დღენიადაგ წიგნად დამკვიდრების საქმეს.

განმარტებითი ლექსიკონი ხომ, ბოლოს და ბოლოს, თითქმის ყოვლისშემცველია. იგი ენციკლოპედიურ ხასიათს ატარებს, მთლიანად ან თითქმის მთლიანად შეიცავს სინონიმთა, ომონიმთა, ტერმინოლოგიურ, დიალექტიკურ, უცხო სიტყვათა და ა. შ. სალექსიკო მასალას. ჩვენთვის სადღეისოდ მას არა მარტო შემეცნებითი, არამედ სიტყვის მართლწერის დამოწმების მნიშვნელობაც ენიჭება.

ლიტერატურული ენისათვის კილოკავები ის დამატებითი ძუძუებია, რომლებითაც იგი კეთილშერჩევით საზრდოობს და ივსება.

ესეც კარგად გაუთვალისწინებიათ ლექსიკონის თავკაცებს, და კუთხური მასალაც ხელხვავიანად, მიზანგამართლებულად არის შერჩეული და სრულიად ქართულ ლიტერატურულ სარბიელზე გამოტანილი.

საერთოდ დიდი დაკვირვებითა და განჭვრეტით არის შესრულებული ლექსიკონისათვის, ვგონებ, ყველაზე ძნელი საქმე — ლექსიკური ერთეულის ზუსტი დადგენა-განსაზღვრა. აქ მეტად იშვიათად, მაგრამ მაინც იგრძნობა ბუდობრივობის ამონარეკლი. მაგალითად, დედა-ენას დედა-წიგნში კი ეკუთვნოდა ცალკე ლექსიკური ერთეულობა, და არა „დედის“ კალთა-ბუდეში ყოფნა.

სიტყვების განმარტებისას თითქმის ყოველთვის მიღწეულია ლაპიდარობა, მკაფიობა და დამაჯერებლობა. ამ მხრივაც იგრძნობა დიდი საბასულხანისეული გამოცდილების განვრცობა — მრავალმხრივი წვლილვა, მაგრამ მკვეთრი ჭვრეტა სიტყვისა. ხოლო უხვად და ზუსტად შერჩეულ საილუსტრაციო გამოთქმებსა და დამოწმებებს ჩვენი ლექსიკოგრაფია ახალ ხარისხში აჰყავს.

დამოწმებათა მასალაც დიდი გულმოდგინებითა და ყურადღებით ტექსტების გადამუშავებით არის მოპოვებული იმ ჩუმი მუშაკების მიერ, რომელთა გარედან დაუნახავმა უანგარო შრომამ, აგრეთვე შეაპირობა ამ მრავალტომიანი დედა-წიგნის ჭეშმარიტი ღირსეულობა.

ქართული ტექსტების შერჩევა-გამოყენება პრინციპულ დავას არ იწვევს. უფრო სადავოა თარგმნილი ტექსტების გამოყენება. რა თქმა უნდა, მაჩაბლისეული შექსპირი, მაჭავარიანისეული ერქმან-შატრიანი და კიდევ ზოგი ალბათ ისევე აუცილებელია ახალი ქართულის განმარტებით ლექსიკონში, როგორც, ვთქვათ, „დაბადების“ თარგმანები ძველი ქართული ამგვარი ლექსიკონის შედგენის დროს... მაგრამ ეს არ ითქმის ზოგ სხვა, უსახო და ხშირად უსახელო ან წარმავალსახელიანი თარგმანების შესახებ. თუმცა ეს დროის ზედნადები ხარჯები იყო და ტომეულებს ბოლომდე აღარც გაჰყოლია.

**რ**ოდესაც გვაქვს სრულმეცნიერული საჭურვლით გაწყობილი ლექსიკონის რვატომეული, როდესაც დიდი, მწიგნობრული მოქალაქეობა დასრულებულია, დროა გავიხსენოთ, რომ ლექსიკონის კომისიის თავმჯდომარისა და მთავარი რედაქტორის პროფესორ არნოლდ ჩიქობავას სიტყვითვე „ლექსიკონი (113.000 სიტყვა) არ ამოწურავს ქართული ენის სიმდიდრეს“ (ტ. VIII, გვ. 5), რომ განმარტებულია 118.000 სიტყვა (პირვანდელი განზრახვით უნდა ყოფილიყო 125.000 ს. იხ. I ტ. გვ. 14). დროა განზე გავუდგეთ „მკაცრ ლიმიტებს“, თუ სხვა გარდამავალ შეფერხებებს, ისევე მოვუბრუნდეთ მოზღვავებული სიტყვების წვლილვა-ცხრილვის მუწუკში გამორჩენილ და „შელეულ“ სიტყვებს, უკანასკნელ ტომთან ნავარაუდევ და ვერ განხორციელებულ „გეოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ სახელთა სიას“ (ტ. I გვ. 81), ლექსიკონს უნდა დაერთოს ყველა შემდეგ ტომში შესული შემოკლებათა გახსნაც, თორემ გაუხსნელი რჩებიან მაგ. მიხ. ჯავახ., ტ. ტაბ., პ. იაშ., ს. ფაშ., რ. ინან., ნ. დუმბ. და სხვა მრავალი.

გარდა ამისა, განმარტებითი ლექსიკონის დამუშავება-გამოცემას ოცი წელი მაინც მოუნდა. ეს არც თუ დიდი ვადაა ასეთი ძირითადი ლექსიკონისათვის., მაგრამ ჩვენს ეპოქაში, როდესაც ყოველ ახალ საოცარ წინსვლას სჭირდება ახალი სწრაფი სიტყვიერი ტოლფასეული, საკმაო დროც არის აქტიური ენის ცხოვრებაში. ამ ხნის განმავლობაში ქართულმა მრავალი სიტყვიერი ხარვეზი ამოივსო, არაერთმა ენობრივმა ბუდემ იჭარა და იბარტყა... რა სჯობს ხავვიანად და მოხდენილად დაქვეითებულ სიტყვას! ენა ხომ ღრუბელივით არის — ისრუტავს და ცხრილავს. იგიც ზღვასავით მუდმივ მოძრაობაშია. არც ლექსიკონია ენის სტატიკური სურათის გადამღები, იგი ენის დინამიკურობის შეძლებისდაგვარი ამსახველია და ახალ საფეხურთან ერთად ახალი საფუძვლისა და ბუნებრივი გზის მიმცემიც.

უებრო შემოქმედებითი შრომა გაწეულია, დიდებული სიტყვის ტაძარი, ძეგლი მარადი აგებული, და დაე ნუ დაგვრჩება მოუმთავრებელი თუნდაც ერთი ქონგური...

მეცხრე, დამატებითი ტომი სავსებით დააგვირგვინებდა ამ საშვილიშვილო საქმეს. დაე ჩვენი საუკუნე მომავლის წინაშე ცხრაკარად წარსდგეს!

განმარტებითი ლექსიკონის გამოსვლა საქართველოში, ჩვენი ღრმა რწმენით, დიდ კულტურულ-მეცნიერულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ეს კოლექტიური ნაღვაწი კიდევ ერთი მაჩვენებელია თუ რა დიადი საქმის გაკეთება შეუძლია შეგნებას, განსწავლულობასა და ერთსულოვნებას!... და ვფიქრობ აქ ყველაზე შესაფერისად ჟღერს დიდებული შოთას ნათქვამი:

„შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი,
შაბაშ საქმე, მისგან ქმნილი“!

**ლევან გოთუა.**

**ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის კომისია (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან):**

პროფ. გ. ახვლედიანი, პროფ. ვუკ. ბერიძე, დოც. სიმ. ყაჩნაძე, პროფ. ვ. თოფურია, დოც. თამ. ლომოური, დოც. სტეფ. მენთეშაშვილი (სწავლული მდივანი), პროფ. არნ. ჩიქობავა (თავმჯდომარე), პროფ. გ. წერეთელი, აკად. სიმ. ჯანაშია.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მთავარი რედაქცია:

პროფ. გ. ახვლედიანი, დოც. ივ. გიგინეიშვილი (სწავლული მდივანი), ი. გრიშაშვილი, ვ. ეგნატაშვილი, დოც. სიმ. ყაჩნაძე, პროფ. ვარ. თოფურია, პროფ. ნ. კეცხოველი, პროფ. ვ. კუპრაძე, გ. ლეონიძე, პროფ. ქეთ. ლომთათიძე, დოც. თამ. ლომოური, დოც. სტეფ. მენთეშაშვილი, აკად. ნ. მუსხელიშვილი, პროფ. არნ. ჩიქობავა (თავმჯდომარე), პროფ. გ. წერეთელი.

პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით.

## „კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

### გვიპასუხებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნ. გომელაური

**ჩვენი** გაზეთის მიმდინარე წლის 12 იანვარს გამოქვეყნდა მეშახტეთა ჯგუფის წერილი — „**ნაბიჯი უკან**“. მასში აღნიშნული იყო, რომ ტყიბულის დასავლეთის შახტში ცუდად არის დაყენებული შახტის ტექნიკური მომარაგებისა და ახალი საშახტო ტექნიკით მეშახტეების აღჭურვის საქმე, მეშახტეები იძულებული ხდებიან გადავიდნენ ხელით შრომაზე, რაც იწვევს მათ ჩამორჩენას.

14 მარტს ჩვენ გამოვაქვეყნეთ აღნიშნული სტატიის კვალდაკვალ მიღებული მშრომელთა წერილების მიმოხილვა — „**მეშახტეები წინადადებებს იძლევიან, ხელმძღვანელები დუმან...**“, რომლის სარედაქციო შენიშვნაში გამოვთქვამდით იმედს, რომ სახალხო მეურნეობის საბჭო გვიპასუხებდა მიმოხილვაში აღძრულ მთელ რიგ საკითხებზე.

ამ დღეებში რედაქციამ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ნ. გომელაურისაგან მიიღო პასუხი. იგი გვატყობინებს, რომ ზემომოყვანილ კორესპონდენციებში მოყვანილ ფაქტებს ნამდვილად ჰქონდა ადგილი.

**გასულ წელს, — ნათქვამია პასუხში, — სამთო მოწყობილობისა და მექანიზმების შეძენისათვის განკუთვნილი თანხების, აგრეთვე მომხვეტი კონვეიერების სათადარიგო ნაწილების შესაძენად გამოყოფილი ფონდების სიმცირემ შახტების ტექნიკურ მომარაგებაში გამოიწვია გარკვეული სიძნელეები.**

**მიღებული ზომების შედეგად 1964 წლის მეოთხე კვარტალში რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობამ მოწყობილობისა და მექანიზმების შესაძენად დამატებით მიიღო 590 ათასი მანეთი და სათანადო ფონდები სათადარიგო ნაწილებისათვის, ტყიბულის შახტებისათვის კი 240 ათასი მანეთი, მომხვეტი კონვეიერების 500 გრძივი მეტრი ჯაჭვი და ათასი ცალი ლითონის ლარი. სახალხო მეურნეობის საბჭომ სპეციალურად განიხილა ტყიბულქვანახშირის მოთხოვნილებები 1965 წლის ტექნიკური მომარაგების საკითხებზე, რის შედეგადაც ტრესტს საჭირო რაოდენობით გამოეყო ფონდები მოწყობილობის, მასალებისა და სათადარიგო ნაწილების შესაძენად. მიღებულ იქნა ზომები შახტების მომარაგების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.**

**ტყიბულის ქვანახშირის შახტებში შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის, ცალკეული პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზმების დისტანციურ მართვაზე გადაყვანის, აგრეთვე ნახშირის გამოღების ტექნოლოგიის გაუმჯობესების საკითხებზე შემუშავებულია და სახალხო მეურნეობის საბჭოს მიერ დამტკიცებულია ღონისძიებათა გეგმა.**

**ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამთო მექანიკის, საბადოთა დამუშავებისა და აფეთქების, ფიზიკის და საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტები განაგრძობენ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ტყიბულის რთულ სამთო გეოლოგიურ პირობებში ქვანახშირის დამუშავების უფრო სრულყოფილი სისტემისა და სათანადო კომპლექსური მექანიზაციის შერჩევაზე.**

**სახალხო მეურნეობის საბჭომ მიმდინარე წელს შეიმუშავა შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის, ნახშირის, მოპოვების ტექნოლოგიის გაუმჯობესებისა და ახალი ტექნიკის დანერგვის პერსპექტიული გეგმა (1966-1970 წ.წ.), რომელიც ითვალისწინებს რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობაში ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, მუშის შრომის ნაყოფიერების ზრდას და პროდუქციის თვითღირებულების საგრძნობ შემცირებას.**

[illegible]

# საზღვარგარეთის ცნობები

## ბოლო მოელის ავანტიურას

[illegible]

...ლხის ხელში გადავიდა.

ინდონეზიის ნავთობის ეროვნულმა კომპანიამ „პერმინამ" გადაწყვიტა დაითხოვოს ამერიკელთა მთელი პერსონალი. მალე ამერიკელი ექსპერტები და მრჩევლები ინდონეზიიდან წავლენ.

## დაე გაისმას პროტესტის მძლავრი ხმა

[illegible]

### ბ. რასელის განცხადება

[illegible] ...ვახია, რათა მოატყუონ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი.

რასელი ეხება ამერიკელთა მტკიცებას, ვიეტნამში გამოყენებული გაზები „მომაკვდინებელი" არ იყოო, და აცხადებს, რომ ეს ძნელი დასაჯერებელია, როცა ვხედავ თუ როგორ მოქმედებენ ამერიკის შეერთებული შტატები ვიეტნამში.

[illegible] ...სელ ხალხს, მიუხედავად ინგლისის ორი ძირითადი პარტიის ხელმძღვანელთა პოზიციისა, შეუძლია ხელი შეუწყოს ამას".

## სპეციალური დოკუმენტი

**გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის ნოტა**

**ნიუ-იორკი,** 30 მარტი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დღეს, როგორც უშიშროების საბჭოს სპეციალური დოკუმენტი, გავრცელდა საბჭოთა კავშირის მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეიარაღებულმა ძალებმა შხამიანი გაზები გამოიყენეს სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობის წინააღმდეგ.

## ლაოსელი ხალხი ქედს არ მოიხრის

[illegible] ...ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას, განაცხადა ...ერენციაზე გენერალმა სინკაპომ, ნეო ლაო ხაკ სატის ...ული ძალების უმაღლესი სარდლობის წარმომადგენელმა. ...დაგმო ამერიკა, რომლის თვითმფრინავები ბომბავენ და ...საც კონტროლს უწევენ ლაოსის პატრიოტული ძალები. ...ამერიკელმა იმპერიალისტებმა და მათმა აგენტებმა არა... ...-ეტი და ზემო ლაოსის სხვა რაიონები. თვითმფრინავებ... ...ინაზე მეტი ბომბი. ისინი აგრეთვე ქიმიურ ბომბებს ...ს, ცენტრალურ და ქვემო ლაოსს.

[illegible] ...გუმალმა სინკაპომ განაცხადა, რომ მარტო მიმდინარე წლის პირველ 10 კვირაში ლაოსის პატრიოტული ძალების საკაერო ნაწილებმა სამ-ნეისა და სიენგ-კუანგის პროვინციებში ჩამოაგდეს ამერიკის 22 თვითმფრინავი, ხოლო 1962 წლის იანვრიდან 1965 წლის მარტის შუა რიცხვებამდე ლაოსის პატრიოტულმა ძალებმა სულ ჩამოაგდეს ამერიკის 58 თვითმფრინავი.

### იაპონიის ახალი წყალქვეშა ნავი

**ტოკიო,** 31 მარტი. (საკდესი). დღეს კობეს ნავსადგურში ეროვნული თავდაცვის სამმართველოს გადაეცა წყალქვეშა ნავი „ოოსიო". ეს ყველაზე დიდი ნავია იმ წყალქვეშა ნავებს შორის, რომლებიც ომის შემდეგ აშენდა იაპონიის სამხედრო-საზღვაო ძალებისათვის. წყალქვეშა ნავს 8 სატორპედო აპარატი აქვს და წყალქვეშ საათში 18 კვანძ სიჩქარეს ავითარებს. წყალქვეშა ნავის წყალწყვა 1.600 ტონა, ეკიპაჟი — 80 კაცი. წყალქვეშა ნავი ააგო „მიცუბისი ძიუკოგიოს" ფირმამ.

## შევაჩეროთ აგრესორები!

[illegible] ...სათვის.

**კამბოჯა.** კამბოჯის მეფის მთავრობა ღრმად აღშფოთებულია იმით, რომ ამერიკა-სამხრეთ ვიეტნამის ჯარებმა გამოიყენეს საბრძოლო საწამლავი ნივთიერებანი სამხრეთ ვიეტნამში. კამბოჯის მთავრობამ მოუწოდა ყველა ქვეყანას, ყველა მთავრობას, [illegible] ...ბის ლაჩრული და საშიში მხარდაჭერა ბინძური ომისა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები აწარმოებენ, იმით კი არ არის გამოწვეული, რომ ცნობები არა აქვთ, არამედ იმით, რომ არ სურთ პირდაპირ შეხედონ ვიეტნამში ამერიკის აგრესიის ფაქტს". (საკდესი).

### ხალხის ხელში

[illegible]

### აფეთქების შედეგები

**ვაშინგტონი,** 30 მარტი. (საკდესი). დღეს სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა, რომ ამერიკის საიგონის საელჩოს შენობასთან ბომბის აფეთქების შედეგად სულ დაშავდა საელჩოს 196 ამერიკელი და სამხრეთვიეტნამელი მოსამსახურე. ამერიკელთა შორის დაიღუპა ორი, დაშავდა 54 კაცი, დაიღუპა აგრეთვე 11 სამხრეთვიეტნამელი, 35 კაცი დაშავდა მძიმედ, 94 კი მსუბუქად.



არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა. ქალაქ ლუქსორის ახლოს ძველი ეგვიპტის ძეგლებია, რომელთა აღდგენა ამჟამად წარმოებს ეგვიპტელ მეცნიერთა ხელმძღვანელობით. ამ ფოტოსურათზე ჩანს ნანგრევები „კარნაკის" ტაძრისა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში შენდებოდა.

ფოტო ადნ-საკდესისა.

## დიდი ხანია დროა!

**დაიწყო კუკლუქსკლანელთა საქმიანობის გამოძიება**

**ვაშინგტონი,** 31 მარტი. (საკდესი). წარმომადგენელთა პალატის ანტიამერიკული საქმიანობის გამომძიებელი კომისიის ქვეკომისიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება დაწვრილებით შეისწავლოს კუკლუქსკლანელთა რასისტული ორგანიზაციის საქმიანობა.

ქვეკომისია, რომელმაც ცუდი სახელი მოიხვეჭა „კუდიანებზე ნადირობის" გამო, ბოლოს და ბოლოს იძულებული იყო ყურადღება მიექცია თეთრ ბალახონიანი ტერორისტებისა და მკვლელებისათვის კუკლუქსკლანელთა ახალი საზარელი დანაშაულის შემდეგ, რომლებმაც 25 მარტს მოკლეს ზანგთა „თავისუფლების მარშის" (სელმა-მონტგომერი) მონაწილე დეტროიტის მცხოვრები 39 წლის ვიოლა ლიუიზო. მძლავრმა პროტესტებმა და აღშფოთებამ, რაც მთელ ამერიკას მოედო ხუთი შვილის დედის მკვლელობის შემდეგ, აიძულა ქვეკომისია დაეწყო კუკლუქსკლანელთა საქმიანობის გამოძიება და „წინასწარ" შეესწავლა ამერიკის ნაცისტური პარტიის, „მინიტმენთა" ტერორისტული ორგანიზაციის და „შავკანიან მუსლიმანთა" საზოგადოების საქმიანობა.

### ყოფილი პრეზიდენტი — სასამართლოში

**კ ო ტ ო ნ უ,** 30 მარტი. (საკდესი). დაგომეის ეროვნული კრების საგანგებო სესიამ დაადგინა სასამართლოს გადასცეს ყოფილი პრეზიდენტი იუბერ მაგა. როგორც პარლამენტის სპეციალური კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, კომისიამ, რომელიც ყოფილი პრეზიდენტის საქმეს იხილავდა, სახელმწიფო ღალატში დამნაშავედ ცნო მაგა, ვინაიდან მისმა მოქმედებამ ზარალი მიაყენა ქვეყნის ინტერესებს და შეარყია დაგომეის ხალხის ნდობა.

დადგენილებაში მაგას სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ აღნიშნულია აგრეთვე, რომ ყოფილმა პრეზიდენტმა პირადი მიზნებისათვის უკანონოდ გამოიყენა 17 მილიონზე მეტი აფრიკული ფრანკი, რომლებიც სახელმწიფოს ეკუთვნოდა.

## ამაო ცდები

**ბრაზავილი,** 31 მარტი. (საკდესი). დღემდე ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული კონგოს (ბრაზავილი) ყოფილი პრეზიდენტის ფ. იულუს გაქცევის დეტალები და მისი ახლანდელი ადგილსამყოფელი. კოლონიზატორთა დამქაში ფ. იულუ, რომელიც 1963 წლის აგვისტოს რევოლუციის შედეგად ჩამოაგდეს, დაპატიმრებული იყო ბრაზავილში. იგი უნდა გაესამართლებინა ტრიბუნალს კონგოს (ბრაზავილი) ხალხის წინაშე ჩადენილი დანაშაულებისათვის.

აქ მიღებული ცნობების თანახმად, პატიმრობიდან გაქცეული აბატი იულუ ამჟამად იმყოფება ლეოპოლდვილში.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ლეოპოლდვილელი კორესპონდენტი იმოწმებს ინფორმირებულ წრეებს და იუწყება, რომ ფ. იულუ იმყოფება ან პრეზიდენტ ჟოზეფ კასავუბუს სახლში ან მოიზ ჩომბესთან. ორივე იულუს ძველი მეგობარია.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს კამპანია, რომელიც ამ დღეებში დაიწყო ლეოპოლდვილის რადიომ. იგი გაძლიერებით ცდილობს გაავრცელოს ვერსია, თითქოს ფ. იულუ ბრაზავილში მოკლეს.

აქაურ პოლიტიკურ წრეებში მიაჩნიათ, რომ ლეოპოლდვილის რეჟიმი, რომელიც გარკვეულ მიზნებს ისახავს, ცდილობს მაქსიმალურად გამოიყენოს ფიულბერ იულუს მკვლელობის ვერსია.

### ჰალედი — საუდის არაბეთის მემკვიდრე უფლისწული

**ამანი,** 30 მარტი. (საკდესი). საუდის არაბეთის მეფემ ფეისალმა გუშინ მექის რადიოთი გამოაცხადა, რომ მისი ძმა ჰალედ იბნ აბდელ აზიზი დანიშნულია მემკვიდრე უფლისწულად. ეს გადაწყვეტილება მიიღო მეფის ოჯახის თათბირმა. ამ თათბირზე მეფის მეორე ძმამ მუჰამედ იბნ აბდელ აზიზმა, რომელსაც, როგორც უფროს ძმას ეკუთვნოდა მემკვიდრე უფლისწულის ტიტული, უარი თქვა ტახტის მემკვიდრეობის პრეროგატივაზე უმცროსი, 56 წლის ძმის — ჰალედის სასარგებლოდ.

ამჟამად ჰალედ იბნ აბდელ აზიზს უკავია მთავრობის მეთაურის მოადგილის პოსტი. მთავრობის მეთაურია მეფე ფეისალი. საუდის არაბეთის ახლანდელი მეფე ამ ქვეყანას მართავს გასული წლის ნოემბრიდან, როცა ულემთა საბჭომ გადააყენა საუდის ყოფილი მეფე და სამეფოს მმართველად გამოაცხადა მისი ძმა ფეისალი.

ამანის მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ ფეისალის უმცროსი ძმის დანიშვნა მემკვიდრე უფლისწულად მოწმობს, რომ საუდის არაბეთის ახლანდელ მეფეს მტკიცე პოზიციები აქვს.

### კულტურული შეთანხმება

**ბრაზავილი,** 30 მარტი. (საკდესი). დღეს აქ ხელი მოაწერეს შეთანხმებას კონგოსა (ბრაზავილი) და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურული თანამშრომლობის შესახებ. ეს შეთანხმება პირველია ამ ქვეყნების ურთიერთობის ისტორიაში. შეთანხმებით გათვალისწინებულია ფართო გაცვლა კულტურისა და ხელოვნების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, რადიომაუწყებლობის, ინფორმაციის, პრესისა და სპორტის დარგში.

*პასუხი შეკითხვაზე*

## რა არის ფორტ-ბრეგი?

**გ**ასულ წელს ამერიკის სენატში მომხდარ ხელჩართულ ბრძოლასთან და კვიპროსის ამბებთან დაკავშირებით პრესაში მოხსენებულ იქნა „პარტიზანთა წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრი" ფორტ-ბრეგი.

ფორტ-ბრეგი ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილოეთ კაროლინის შტატის პროვინციული ქალაქია. მაგრამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ეს სამხედრო სახელწოდების მქონე ქალაქი (ფორტი — ინგლისურად ციხესიმაგრეს ნიშნავს) მართლაც მიუდგომელ სამხედრო დაბად გადაიქცა.

ქალაქისაკენ მიმავალ გზებზე განუწყვეტლივ მორიგეობენ პოლიციის გაძლიერებული რაზმები. საკმარისია გამვლელი ან მგზავრი ერთი წუთით შეჩერდეს ხეობაში ლამაზად გაშლილი დასახლებული პუნქტისათვის თვალის გადასავლებად და მას მაშინვე დააკავებენ. სამხედრო პოლიციის ჯარისკაცები მას მიიყვანენ კომენდატურაში პიროვნებისა და ფორტ-ბრეგის მიდამოებში ყოფნის მიზეზის დასადგენად. გაოცებულ მგზავრს კომენდატურაში დაბეჯითებით განუმარტავენ, რომ ქალაქის მიდამოებში აკრძალულია ნადირობა, ფოტოგრაფირება, ტურისტებისათვის შესვენების მოწყობაც კი. ქალაქის გარშემო ბოძებზე გაკრულია უზარმაზარი გამაფრთხილებელი წარწერები: „გავლა და მანქანით სიარული აკრძალულია", „აკრძალული ზონაა", „სდექ, აქ გავლა არ შეიძლება!". ასეთი უცნაური წარწერაც კი შეიძლება ნახოთ: „წარმოთქვამ საიდუმლო სიტყვას — და მიიღებ 10 წელს".

ფორტ-ბრეგის დასახლება ჟურნალ-გაზეთების და განსაკუთრებით სამხედრო ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე გახშირდა 1952 წლის აპრილიდან, როცა აქ შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატების არმიის „ფსიქოლოგიური ომის" ცენტრი და გარნიზონის ყაზარმებში მოთავსდნენ „სპეციალური დანიშნულების ჯარების" ნაწილები. ფორტ-ბრეგის მკვიდრნი გაოცებით შესცქეროდნენ ჯარისკაცებს, რომლებსაც უცნობი სამხედრო ფორმა ჰქონდათ: თავზე მწვანე ბერეტები ეხურათ, ხოლო მუნდირის მარცხენა სახელოზე ეკეთათ უცნაური ემბლემა—ცისფერი, მოგრძო, ბოლომახვილკუთხა ფარი ზედ დამაგრებული ოქროს ხანჯლით. განცვიფრებას იწვევდა ისიც, რომ ჯარისკაცების უმრავლესობა უცხო ენაზე ლაპარაკობდა და ინგლისური არც კი ესმოდა. მცხოვრებთა გაოცება დიდხანს არ გაგრძელებულა. ბევრმა ოჯახმა მიიღო ამერიკის არმიის უშიშროების სამსახურის და სამხედრო პოლიციის წინადადება — გადასახლებულიყო ამ ქალაქიდან ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო „უშიშროების ინტერესებისათვის".

მალე ქალაქში დარჩა მხოლოდ გარნიზონის მომსახურებისათვის აუცილებელი საწარმო-დაწესებულება და ფირმა. მკვეთრად შეიზღუდა სამოქალაქო პირთა ჩასვლა ფორტ-ბრეგში, განსაკუთრებით კი „არასასურველი უცხოელებისათვის". ფორტ-ბრეგი მოსწყდა დანარჩენ სამყაროს და გადაიქცა „სპეციალურ გარნიზონად" — სასწავლო ცენტრად, სადაც ამზადებენ ამერიკის არმიის განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილების კადრებს — მოწინააღმდეგის ზურგში პროვოკაციული და დივერსიულ-ტერორისტული მოქმედების განსახორციელებლად.

აქ სწავლობენ ჯაშუშები, ცილისმწამებლური ხმების გავრცელების ოსტატები, მოწინააღმდეგის არმიასა და მოსახლეობაში პროპაგანდის წარმოების სპეციალისტები. აქ გადიან მომზადებას იმ ნაწილების ოფიცრები და ჯარისკაცები, რომელთა გამოყენება განზრახულია „პარტიზანთა საწინააღმდეგო ომში".

ფორტ-ბრეგში განლაგებულია რადიოპროპაგანდის და სააგიტაციო ფურცლების გამომცემლობის პირველი ბატალიონი და ომის წარმოების სპეციალური მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი განყოფილება.

**ს**ამშობლოს მოღალატენი, დეზერტირები, გამცემლები, იოლი საშოვრის მოყვარულნი, კარგ გასამრჯელოს დახარბებული სისხლის სამართლის დამნაშავენი — აი კონტინგენტი, რითაც კომპლექტდება „სპეციალური დანიშნულების" ნაწილები.

მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის შეცდომაში შეყვანის მიზნით იმპერიალისტურმა პროპაგანდამ ეს ჯარები „პარტიზანულ რაზმებად" მონათლა და ცდილობს დაქირავებული კაცისმკვლელები, საზოგადოების ნაძირალები გამათავისუფლებლებად და დემოკრატიის დამცველებად წარმოადგინოს.

„სპეციალური დანიშნულების ჯარების" ხელმძღვანელებს კარგად ესმით, რომ მათ ნაშიერებს საბრძოლო ოპერაციების განხორციელების დროს მხარის დამჭერად მათივე მსგავსი ნაძირალები ეყოლებათ. აი რას წერს ამერიკის სამხედრო ჟურნალი „არმი": „როცა ჩვენი სპეციალური დანიშნულების ჯარების ქვეგანაყოფები მტრის ზურგში საბრძოლო მოქმედებისათვის დაგეგმილ რაიონში იქნებიან გადასროლილნი, მათი მთავარი ამოცანა იქნება იმ ქვეყანაში არსებული რეჟიმით უკმაყოფილო ყველა ძალების შემოკრება და ამიტომ მათ საქმე ექნებათ ძალიან ძნელ ადამიანებთან. მათთან ხომ საზოგადოების ნაღები კი არ მივა, არამედ მივლენ დაქირავებული მკვლელები, ფანატიკოსები, თავგადასავლის მაძიებელნი, პოლიტიკური ოპორტუნისტები, სისხლის სამართლის დამნაშავენი, ყოველგვარი პარაზიტები და იოლი საშოვრის მოყვარულნი".

ფორტ-ბრეგის სკოლაში სწავლობდნენ და სწავლობენ ნატოს ბლოკში შემავალი ქვეყნების ჯარების მნიშვნელოვანი კონტინგენტები; ლათინური ამერიკის ზოგიერთ სახელმწიფოთა არმიების წარმომადგენლები, გომინდანის, სამხრეთ ვიეტნამის, ფილიპინების, სამხრეთ კორეის ჯარების ოფიცრები. აქ სწავლობდა აგრეთვე ჰიტლერული არმიის ყოფილი ოფიცერი, ამჟამად დასავლეთ გერმანიის ბუნდესვერის შტაბის „ფსიქოლოგიური ომის" მთავარი სპეციალისტი პოდპოლკოვნიკი მიტელშტედტი.

რა სახის სწავლებას გადიან ფორტ-ბრეგში?

1962 წლის თებერვალში ჟურნალ „ნიუსუიკის" კორესპონდენტი, რომელმაც სხვა ბურჟუაზიული გაზეთების კორესპონდენტებთან ერთად ინახულა ფორტ-ბრეგში განლაგებული „სპეციალური დანიშნულების ნაწილები", წერდა: „ამ ადამიანებს მოეთხოვებათ უიარაღო ხელით კაცის კვლის ცოდნა, საზრდოობა მხოლოდ იმით, რის მოპოვებაც შეიძლება ტყესა და მინდორში. მათ ასწავლიან საბრძოლო მოქმედების წარმოებას ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, პოლონეთის და თვით რუსეთის უმძიმეს პირობებში. ფორტ-ბრეგში ნამყოფი ერთი უნგრელის ფერენც ყოფკის სიტყვით, აქ სწავლობენ ადამიანის მოკვლის 124 ხერხს".

**დ**ასავლეთ გერმანიის გაზეთი „დოიჩე ზოლდატენცაიტუნგი" წერდა ფორტ-ბრეგის ჯარისკაცებზე: „როცა ისინი ტყეში გადიან, ყველაზე მეტად შარაგზის ყაჩაღებს ემსგავსებიან. იქ, ტყეში, ბანაკში ცხოვრობენ და სწავლობენ თავის შენახვას არახელსაყრელ პირობებში, უგზოობის, მომარაგების ბაზებიდან დიდად დაცილების პირობებში, სანამ არ დადგება რაიმე სპეციალური დავალების შესრულების ვადა". ამ სპეციალური დავალებების შინაარსზე დასავლეთის პრესა დუმს. მაგრამ ამის შესახებ საკმაოდ კონკრეტულად ლაპარაკობს მათი დარიგება: „სპეციალური დანიშნულების ჯარების საბრძოლო მოქმედების საფუძველს შეადგენს დივერსიის და საბოტაჟის აქტები მოწინააღმდეგის ზურგში (ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის მუშაობის შეფერხება, ხიდების აფეთქება, ელექტროდენის გადამცემი ხაზების დაზიანება, წყაროების და ჭების მოწამვლა, თავდასხმა ცალკეულ პირებზე და ჯარების მცირე ქვეგანაყოფებზე და ა. შ.), შპიონაჟი, „თანამგრძნობთა" ჩათრევა „წინააღმდეგობის ჯგუფებსა" და „პარტიზანულ რაზმებში", ძირგამომთხრელი პროპაგანდა — ცილისმწამებლური ფურცლების და პროვოკაციული ხმების გავრცელება, დამსჯელი ექსპედიციების ორგანიზაცია ნამდვილი პარტიზანების წინააღმდეგ და ა. შ."

ფორტ-ბრეგის მესვეურების ღონისძიებათა ძირითადი ნაწილი მიმართულია უპირველეს ყოვლისა საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ და ამიტომ აქ გულმოდგინედ სწავლობენ ჰებელსის პროპაგანდის გამოცდილებას, მიღებულს საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ. მაგრამ ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა ადამიანების და სოციალისტური ქვეყნების მშრომელთა სიფხიზლის წყალობით მტრის ხრიკები უვნებელყოფილ იქნება.

**ი. კობახიძე.**

## მრავლისმთქმელი, მეტყველი სურათები

**იაპონიაში ეცნობიან საბჭოთა საქართველოს**

გასულ წელს საბჭოთა კავშირში ორი თვე იმოგზაურეს იაპონიის ერთ-ერთი უდიდესი გამომცემლობის „კოკუსაი ძეიხოსიას" წარმომადგენლებმა, მრავალტირაჟიანი ილუსტრირებული ჟურნალის რედაქტორმა ე. ტოკუნაგამ და ფოტორეპორტიორმა.

„ახალი ამბების სააგენტოს" მოწვევით და დახმარებით იაპონელ ჟურნალისტებს საშუალება ჰქონდათ დაწვრილებით გასცნობოდნენ ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს, შეხვედროდნენ საბჭოთა ადამიანებს. იაპონელი ჟურნალისტები საქართველოსაც ესტუმრნენ გასული წლის სექტემბერში და რამდენიმე დღე დარჩნენ ჩვენში.





იაპონიაში დაბრუნების შემდეგ მათ მოამზადეს და მიმდინარე წლის დასაწყისში დიდი ტირაჟით გამოსცეს ილუსტრირებული სამტომიანი ფოტო-ენციკლოპედია „საბჭოთა კავშირი".

ჩვენს ქვეყანაში გატარებული ორი თვე იაპონელებმა ინტენსიურად გამოიყენეს. მათ დაათვალიერეს ყველა მოძმე რესპუბლიკის ღირსშესანიშნაობანი, გაეცნენ ყველა დედაქალაქს. სულ 55 ქალაქში იმოგზაურეს.

ფოტო-ენციკლოპედია დიდ ინტერესს გამოიწვევს, მით უმეტეს, რომ ეს პირველი ცდაა იაპონელთათვის ასახონ სსრ კავშირის ცხოვრება. ენციკლოპედია არა ჰგავს ზოგიერთ ბურჟუაზიულ გამოცემას, რომელშიც ტენდენციურად არის დანახული სინამდვილე.

თბილისში ყოფნისას ე. ტოკუნაგა ამბობდა:

— ჩვენი ამოცანაა ილუსტრაციებში ავსახოთ საბჭოთა ქვეყნის ცხოვრება, რომელიც დიდ ინტერესს იწვევს იაპონიაში. გამომცემლობას არ აინტერესებს ნაკლოვანებანი, რომლებსაც შეიძლება წააწყდე. ჩვენი მიზანია სავსებით მიუკერძოებლად ვაჩვენოთ იაპონელ ხალხს საბჭოთა კავშირი.

ჩვენს წინ არის სამტომიანი ფოტო-ენციკლოპედია „საბჭოთა კავშირი", გამოცემული მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე, რომელშიც უხვად არის შესანიშნავი ფერადი ფოტოები. აქ ნახავთ ქარხნებსა და ფაბრიკებს, საკოლმეურნეო მინდვრებსა და გზატკეცილებს, ისტორიულ ძეგლებსა და ფართო პროსპექტებს. შეიხედავთ „პრავდის" საროტაციო საამქროში და ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის ფიზიკის დიდ აუდიტორიაში, ერმიტაჟის დარბაზებში და ალმა-ატის საოპერო თეატრში. ჩვენი მკითხველი იცნობს გმირ საბჭოთა კოსმონავტებს და გამოჩენილ სპორტსმენებს, მეცნიერებსა და მოცეკვავეებს. თქვენ იმოგზაურებთ მოსკოვსა და ლენინგრადში, კიევსა და ტაშკენტში, რიგასა და დუშანბეში, სოჭსა და ნოვოსიბირსკში, ვოლგოგრადსა და ულიანოვსკში. ნახავთ ლენისა და ვოლგის, ალდანისა და ამურის სანაპიროებს. ისეირნებთ მატარებლით, თვითმფრინავით, მანქანით.

ენციკლოპედიის მესამე ტომის თითქმის ნახევარი დათმობილი აქვს საქართველოს. ჩვენს რესპუბლიკაში იაპონელმა ჟურნალისტებმა დაათვალიერეს თბილისი, ბათუმი, სოხუმი. იყვნენ კახეთში, გაეცნენ ჩვენს კურორტებს, დაათვალიერეს ღვინის ქარხნები და ჩაის ფაბრიკები.

საქართველოში ყოფნისას იაპონელ ჟურნალისტებზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩაის ფაბრიკებმა. ე. ტოკუნაგა ამბობდა:

— იაპონიას ჩაის წარმოების დიდი ტრადიცია აქვს, მაგრამ ასეთი მექანიზებული ჩაის ფაბრიკები ჩვენში არ არის. მიუხედავად სამრეწველო პროგრესისა, დღესაც კუსტარული მეთოდით ვამუშავებთ ჩაის.

განყოფილება „საქართველოს სსრ" იხსნება ფერადი ილუსტრაციით — რიწის ტბა, შემდეგ ფოტოობიექტივს გადავყავართ გაგრასა და ახალ ათონში, სოხუმსა და ბათუმში. ორი ფოტო მიუძღვნეს იაპონელებმა საღამოს თბილისს. მათ შესანიშნავად დაუნახავთ საღამოს თბილისის სილამაზე და „ქართვლის დედის" სინატიფე, ჯვრის მონასტერი და ნარიყალას ნანგრევები. მათ არც ყვავილთა გამოფენა გამოეპარათ.

მათ გადაიღეს ჩაის პლანტაციები და ჩაის ფაბრიკები, კონიაკის ქარხანა და თბილისის ქუჩები, ღვინის მაღაზია რუსთაველის პროსპექტზე და ქართული [illegible]



[illegible] ...ცეკვები, ას წელს გადაცილებული მოხუცები და მოღიმარი ბავშვები.

ენციკლოპედია „საბჭოთა კავშირის" თვითეული ფოტოილუსტრაცია იმდენად მრავლისმთქმელი და მეტყველია, რომ უცხოელი მკითხველი აუცილებლად შეამჩნევს იმ მჩქეფარე, შემოქმედებით ცხოვრებას, რომლითაც მთელი საბჭოთა კავშირი ცხოვრობს.

* * *

**სურათებზე:** რეპროდუქციები ფოტო-ენციკლოპედიიდან „საბჭოთა კავშირი".

## ჩვენი ინტერვიუ



# სიმღერის მადლი

### ზურაბ ანჯაფარიძე სტუმრად „კომუნისტის“ რედაქციაში

**თბილისის** ოპერისა და ბალეტის თეატრში, ქართული ეროვნული ხელოვნების ამ ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერაში დავაჟკაცებულა და შემოქმედების დიდ გზაზე გამოსულა ბევრი მომღერალი, რომელთაც შემდეგ რესპუბლიკის გარეთ შორს გაუტანიათ ჩვენი მუსიკალური კულტურის მონაპოვრები. ასეთ ხელოვანთა რიცხვში დღეს, სხვებთან ერთად, არის ზურაბ ანჯაფარიძე, — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, სსრ კავშირის დიდი თეატრის ერთ-ერთი წამყვანი სოლისტი.

მაღალ ხელოვნებას ზიარებული მომღერალი ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის ბევრი თეატრის სცენაზე გამოსულა. გასტროლებს ყოველთვის თან ახლდა წარმატება და სიხარული. მაგრამ რა შეედრება მშობლის სიხარულს, როცა იგი თავისი დავაჟკაცებული შვილის კეთილი საქმისა და გამარჯვების მოწმე ხდება! არა მარტო ჩვენი მაყურებლისათვის, არამედ თვით მომღერლისთვისაც განუმეორებელი სიამოვნების მომტანია გამოსვლა თბილისის სცენაზე. ამიტომაც არის, რომ ზურაბ ანჯაფარიძე ჩვენი დედაქალაქის ხშირი „სტუმარია“.

ჩვეული ინტერესით შეხვდნენ დედაქალაქის მშრომელები და მუსიკალური საზოგადოებრიობა ზურაბ ანჯაფარიძის ამასწინანდელ გასტროლებსაც. ამჯერად მომღერალი ხუთ სპექტაკლში („აბესალომ და ეთერი“, „პიკის ქალი“, „კარმენი“, „ტოსკა“, „აიდა“) გამოვიდა და ერთხელ კიდევ გვიჩვენა მაღალნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობით მიღწეული თავისი ვოკალური და სცენური ოსტატობა.

ამ დღეებში ზურაბ ანჯაფარიძე გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას ეწვია. გაიმართა საინტერესო საუბარი. ლაპარაკი იყო მომღერლის მოღვაწეობაზე დიდ თეატრში, ამ თეატრის შარშანდელ გასტროლებზე იტალიაში, თეატრის კოლექტივისა და თვით ზურაბ ანჯაფარიძის მომავალ შემოქმედებით გეგმებზე, საბჭოთა საოპერო და ვოკალური ხელოვნების საკითხებზე.

თავდაპირველად სიტყვა ჩამოვარდა მომღერლის პირველ ნაბიჯებზე ხელოვნების დიდ გზაზე.

**— ყოველთვის, როცა საოპერო სცენაზე პირველ გამოსვლაზე ვფიქრობ, ან რაიმეს ვამბობ,** — თქვა ზურაბ ანჯაფარიძემ, **— არ შეიძლება არ გავიხსენო ჩემი პედაგოგი (როგორც კონსერვატორიიდან, ისე ამჟამად), სახელოვანი მუსიკოსი და მომღერალი დავით ანდღულაძე, რეჟისორი იოსებ თუმანიშვილი, რომელთანაც უშუალოდ არის დაკავშირებული ჩემი პირველი გამოსვლა აბესალომის როლში ოპერის სცენაზე, რეჟისორები მიხეილ კვალიაშვილი და შოთა აღსაბაძე, დირიჟორები ოდისეი დიმიტრიადი და დიდიმ მირცხულავა, საოპერო თეატრის მაშინდელი დირექტორი, შესანიშნავი ადამიანი და მუსიკოსი დიმიტრი მჭედლიძე, რომელიც ყოველთვის მხარში გვიდგა ახალგაზრდა მსახიობებს, გვამხნევებდა, გვაიმედებდა და მომავლის რწმენას გვინერგავდა...**

უკვე თითქმის ექვსი წელია ზურაბ ანჯაფარიძე მოსკოვის დიდ თეატრში მუშაობს. ექვსი წელი არც დიდი დროა და არც უმნიშვნელო. ჩვენი მკითხველებისათვის საინტერესო იქნება შეიტყონ, თუ რომელ სპექტაკლში გამოდის ზურაბ ანჯაფარიძე ამ თეატრის სცენაზე. მივცეთ სიტყვა თვით მომღერალს:

**— ჩემი რეპერტუარი ასეთია — გერმანი („პიკის ქალი“), რადამესი („აიდა“), დონ ხოზე („კარმენი“), კავარადოსი („ტოსკა“), ვოდემონი („იოლანტა“), დონ კარლოსი, ალფრედი („ტრავიატა“), ჰერცოგი („რიგოლეტო“) და ფაუსტი. უკანასკნელი ოთხი პარტია პირველად სწორედ დიდი თეატრის სცენაზე ვიმღერე.**

**დიდ თეატრში პირადად მუშაობა უშუალოდ მიხდება რეჟისორებთან — ბორის პოკროვსკისთან და იოსებ თუმანიშვილთან. სწორედ ამ უკანასკნელმა გასულ წელს პირველად დადგა საბჭოთა პერიოდში დიდი თეატრის სცენაზე ვერდის „დონ კარლოსი“. საბჭოთა პერიოდში-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ ეს ოპერა მოსკოვში ჯერ კიდევ 1916 წელს იქნა წარმოდგენილი შალიაპინის ინიციატივით.**

**ყოველთვის დიდი მადლიერებით მოვიგონებ გამოჩენილ საბჭოთა დირიჟორს, აწ განსვენებულ მელიქ-ფაშაევს, რომლის ხელმძღვანელობით ბევრი რამ ვისწავლე და სასარგებლო შევიძინე. ჩემი რეპერტუარით და მუშაობით ამჟამად ყველაზე მეტად დაკავშირებული ვარ დირიჟორ ბორის ხაიკინთან.**

**დამეთანხმებით, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ არის შენი პარტნიორი სპექტაკლში. მინდა აღვნიშნო, როგორც ჩემთვის უაღრესად სასიამოვნო ფაქტი, რომ მოსკოვის თეატრის სცენაზე გამოსვლა მიხდება ისეთ საუკეთესო მომღერლებთან, როგორებიც არიან ირინე არხიპოვა, გალინა ვიშნევსკაია, თამარ მილაშკინა, პავლე ლისიციანი, ივანე პეტროვი.**

როგორც ცნობილია, გასული წლის შემოდგომაზე პირველად მოეწყო გაცვლითი გასტროლები საბჭოთა კავშირის დიდ თეატრსა და მილანის სახელგანთქმულ ლა-სკალას შორის. ეს იყო დიდი კულტურული მნიშვნელობის მოვლენა. ლა-სკალას სცენაზე ზურაბ ანჯაფარიძემ დიდი წარმატებით შეასრულა გერმანის როლი. ლიზას პარტიას გ. ვიშნევსკაია მღეროდა.

**— გასტროლები იტალიაში მუდამ საუკეთესო მოგონებად დამრჩება. რასაკვირველია, ეს არ იყო ჩემი პირველი გამოსვლა საზღვარგარეთ. მანამდე ვყოფილვარ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პოლონეთში, ბულგარეთში და სხვაგან, მაგრამ, მოგეხსენებათ, ლა-სკალა მაინც სხვა გახლავთ.**

**საბჭოთა და უცხოეთის პრესაში ამ გასტროლებზე ბევრი დაიწერა. ამიტომ მე მხოლოდ ზოგიერთ ფაქტს გავიხსენებ.**

**ომის პერიოდში საკმაოდ დანგრეული ლა-სკალას თეატრი, მსოფლიო საოპერო ხელოვნების ეს უდიდესი ცენტრი, ამჟამად პირვანდელი სახით არის აღდგენილი. ლა-სკალას დარბაზს საუკეთესო აკუსტიკა აქვს. მაგრამ მას მიჩვევა უნდა. აქ, რომ იტყვიან, უმნიშვნელო ფაჩუნიც კი ისმის, მუსიკალურ ბგერაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია...**

**თეატრში არის საუკეთესო ისტორიული მუზეუმი, სადაც ჩვენ „შევხვდით“ თევდორე შალიაპინსა და ლეონიდ სობინოვს. საერთოდ, უნდა ითქვას, თვით ლა-სკალაშიც და მილანშიც ნამდვილ ღმერთად არის მიჩნეული ენრიკო კარუზო. მის სახელს ყველა განსაკუთრებული სიყვარულით, სიამაყით და მოკრძალებით ახსენებს.**

**დიდი იტალიელი დირიჟორის არტურო ტოსკანინის (1867-1957 წ.წ.) ქალიშვილმა მიგვიწვია მამის სახლ-მუზეუმში, სადაც სრულყოფილად შეგიძლიათ გაეცნოთ ამ შესანიშნავი მუსიკოსის — ვერდის, მასკანის, პუჩინის, როსინის, ვაგნერის, მასნეს და სხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებების ბრწყინვალე ინტერპრეტატორის შემოქმედებას.**

**გულთბილი შეხვედრა მოგვიწყო ქალაქ მილანის მერმა. შეხვედრაზე ერთხელ კიდევ აღნიშნეს საბჭოთა მსახიობების დიდი წარმატება მილანში, ლა-სკალას სცენაზე.**

**მილანს გარდა ვინახულეთ და დავათვალიერეთ ვენეცია, გენუა, ფლორენცია, ზღვისპირა საკურორტო ადგილები.**

**ლა-სკალას ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა თავის თეატრში დადგას ერთ-ერთი ოპერა საბჭოთა თეატრების რეპერტუარიდან. იოსებ თუმანიშვილმა მათ შესთავაზა „აბესალომ და ეთერი“. ეს მხოლოდ წინადადებაა. საბოლოო სიტყვას მომავალი შეთანხმების შედეგები გვეტყვის.**

ზურაბ ანჯაფარიძეს არაფერი უთქვამს იმაზე, თუ როგორი მაღალი შეფასება მისცეს იტალიისა და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნების გაზეთების (რომელთა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ სპექტაკლებს ლა-სკალას თეატრში) მიმომხილველებმა მის გერმანს, ამიტომ ჩვენ გავაცნობთ ყველაზე დამახასიათებელ ორ ამონაწერს":

„დიდი წარმატება მოიპოვა ზურაბ ანჯაფარიძემ, რომელიც ნამდვილი აღმოჩენა იყო მილანის საზოგადოებრიობისათვის. ამ მომღერალს, რომელსაც ძლიერი, თანაბარი და მღერადი ხმა აქვს, თავისუფლად შეუძლია მხარი გაუტოლოს იტალიის საოპერო თეატრის ყველაზე ცნობილ სახელებს“ **(გაზეთი „იტალია“).**

„ზურაბ ანჯაფარიძემ (გერმანი), რომლის ხმა ლირიკულ-დრამატული ტენორის ყველა მოთხოვნას უპასუხებს, ჩაიკოვსკის მსოფლიო სევდა, რაც გულის სიღრმემდე შეიგრძნო და განიცადა, უდიდესი გამომსახველობითი ძალით გადმოგვცა“ **(გაზეთი „დი ველტ“, გფრ).**

ჩვენი საუბრის ბოლოს ზურაბ ანჯაფარიძემ თავისი მომავლის გეგმები გაგვაცნო:

**— ჩემს უახლოეს შემოქმედებით გეგმებზე როცა ვლაპარაკობ, უნდა დავასახელო სადკო ნ. რიმსკი-კორსაკოვის ამავე სახელწოდების ოპერაში, კანიო — „ჯამბაზებში“, ტურიდუ — „სოფლის პატიოსნებაში“. არც თუ შორეული მომავლისათვის ვფიქრობ გამოვიდე „ტრუბადურში“, „ოტელოში“ და, რასაკვირველია, ალექსი მაჭავარიანის ოპერა „ჰამლეტში“, რომელიც თბილისის საოპერო თეატრში დაიდგმება.**

**ვფიქრობ მონაწილეობა მივიღო ამიერკავკასიის წლევანდელ მუსიკალურ გაზაფხულში და შევასრულო ალექსი მაჭავარიანის და ოთარ თაქთაქიშვილის ნაწარმოებები...**

როცა მომღერალს თავის ყველაზე საყვარელ საოპერო სახეებზე შევეკითხეთ, არც დაფიქრებულა, ისე დაგვისახელა აბესალომი და გერმანი, თანაც დასძინა — არაფერი არ შეედრება იმ სიხარულსა და სიამოვნებას, თბილისის სცენაზე სიმღერა რომ მანიჭებს.

**ლ. კიკნაძე.**

## ქართველ მეცნიერთა სტუმარი

# იულიუს ასფალგი თბილისში

თბილისს ესტუმრა ცნობილი ორიენტალისტი, მიუნხენის უნივერსიტეტის დოცენტი იულიუს ასფალგი.

ი. ასფალგი ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას ეწევა. მას შესწავლილი აქვს ასურული (სირიული), ქართული, სომხური და სხვა აღმოსავლური ენები. მისი კვლევის საგანია ძველი აღთქმის წიგნები და პატრისტული ლიტერატურა.

ი. ასფალგმა აღწერა გერმანიაში დაცული ქართული, სირიული და სომხური ხელნაწერები (სომხური ხელნაწერები ი. მოლითორთან ერთად), ქართული ხელნაწერების აღწერილობა გამოვიდა 1963 წელს.

ამჟამად გერმანელი მეცნიერი მუშაობს 12 მცირე წინასწარმეტყველის წიგნთა ძველ ქართულ თარგმანზე იმ ტექსტების ნიხედვით, რომლებიც მოიპოვება ათონისა (X ს.) და იერუსალიმის (XI ს.) ხელნაწერებში, აგრეთვე ბაქარისეულ გამოცემაში (1743 წ.), მათი ერთიმეორესთან და ბერძნულ, ასურულ და სომხურ ვერსიებთან შედარებით.

ი. ასფალგი ეხმარებოდა რომში მოღვაწე ქართველ მეცნიერ მიხეილ თარხნიშვილს (გარდაიცვალა 1958 წ.) აკადემიკოს კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ I ტომის გერმანულად თარგმნა-გადაკეთებაში (დაიბეჭდა 1955 წელს, რომში).

ამჟამად იგი პროფესორ ი. იედლიჩკასთან ერთად მუშაობს აკადემიკოს კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მე-2 ტომის გერმანულ თარგმანზე. ამით ქართველი მეცნიერის ნაშრომი ხელმისაწვდომი გახდება ჩვენი ლიტერატურით დაინტერესებული ფართო წრეებისათვის.

— 12 მცირე წინასწარმეტყველის ძველ ქართულ თარგმანზე მუშაობისას, რომელიც ჯერ არ გამოქვეყნებულა, — განაცხადა გერმანელმა მეცნიერმა ქართველ მეგობრებთან საუბარში, — დიდად მეხმარებოდნენ ქართველი მეცნიერები აკაკი შანიძე და ივანე იმნაიშვილი თავიანთი საქმიანი რჩევითა და მნიშვნელოვანი ქართული წიგნებით.

აქვე მადლიერების გრძნობით აღნიშნა ი. ასფალგმა ის დიდი ყურადღება, რომელიც მის მიმართ გამოიჩინეს ქართველმა მეცნიერებმა აკაკი შანიძემ და ილია აბულაძემ გერმანიაში არსებული ქართული ხელნაწერების აღწერილობის გამოცემისას.

ჩვენი კულტურისა და ლიტერატურის მეგობარს ნაყოფიერი საქმიანი ურთიერთობა აქვს აგრეთვე ცნობილ ქართველ მეცნიერებთან გ. ჩუბინაშვილთან, გ. წერეთელთან, ვ. ბერიძესთან.

— დასასრულ ი. ასფალგმა თქვა:

— მოხარული ვარ, რომ გერმანიის სამეცნიერო საზოგადოებამ შესაძლებლობა მომცა კიდევ ერთხელ, და ამჯერად ათი დღით, ჩამოვსულიყავი თქვენს რესპუბლიკაში, მენახა ჩემი მეგობრები, რომლებთანაც 15 წელია სისტემატური ურთიერთობა მაკავშირებს.

**გ. შეყილაძე.**

ჩემი სალამი [illegible] ქართული [illegible] გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს.

1965.23.3. თბილისი. იულიუს ასფალგ.




სურათებზე: ი. ასფალგის ავტოგრაფი (მარცხნივ); აკადემიკოსი ა. შანიძე და ი. ასფალგი. (მარჯვნივ).

# მოკლედ

▲ **ხულო.** (საქ. კორ.). უჩამბის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა და საშუალო სკოლამ მოაწყეს სტენდი „სოფელი სამოლეთი დიდ სამამულო ომში“.

სტენდი ასახავს დიდ სამამულო ომში მონაწილეთა თავდადებას, ჩვენი დიადი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის საბჭოთა ხალხის თავგანწირული ბრძოლისა და გამარჯვების ეპიზოდებს. რვა სამოლეთელმა ვაჟკაცმა შესწირა სიცოცხლე სამშობლოს. მათ სახელებს სათუთად ინახავენ სოფელში.

▲ **ონის** რაიონის სოფელ ჟაშქვის კოლმეურნეებმა კიდევ ერთი სიხარული განიცადეს — სოფლიდან საკმაო მანძილით დაშორებული „ტყემლის წყარო“ ეზოებში გამოიყვანეს.

მეცხოველეობის ფერმას მანამდე წყალი აკლდა. ახლა კი, აღნიშნული წყაროს გამოყვანის შედეგად, ფერმა უზრუნველყოფილია წყლით.

▲ **მაიაკოვსკი.** (საქ. კორ.). ოცზე მეტი მგელი და დათვი, 50-მდე ტურა, 5 ფოცხვერი, 70 მელა — ასეთია მაიაკოვსკელ მონადირეთა ზამთრის ნადავლი.

მაღალმთიან სოფელ ხანში საუკეთესო მონადირეები არიან სიმონ გიორგიძე და მამია ნატრიაშვილი. ამ ზამთარში ს. გიორგიძემ ორი მგელი და სამი დათვი მოკლა, ხოლო გ. ნატრიაშვილმა — ოთხი მგელი და ორი დათვი.

## ჩემპიონატები • ტურნირები

# საუბარი დიდ ფეხბურთზე

**ფეხბურთის** მოყვარულები მოუთმენლად ელიან საკავშირო ჩემპიონატის გახსნის დღეს — 15 აპრილს.

გუშინ მოსკოვში მოეწყო პრეს-კონფერენცია, მიძღვნილი 1965 წლის ფეხბურთის სეზონისადმი. ამ საკითხის გარშემო ილაპარაკა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილემ **ვ. მოშკარკინმა.**

უმაღლეს ლიგაში პირველობას ერთმანეთს შეეცილება 17 გუნდი. სეზონის ბოლოს კი სამი უკანასკნელი კოლექტივი დატოვებს უძლიერესთა რიგებს. მათ მაგივრად შემოვა მეორე ჯგუფის მხოლოდ ერთი გუნდი, რომელსაც პირველად გადაეცემა ოქროს მცირე მედლები.

პარალელურად მოეწყობა სსრ კავშირის თასის გათამაშება. ფინალი შედგება ფიზკულტურის საკავშირო დღეს — 14 აგვისტოს.

დიდი ინტერესი გამოიწვია საუბარმა საერთაშორისო შეხვედრებზე, პირველ რიგში სსრ კავშირის ნაკრების მომავალ მატჩებზე. საბჭოთა ნაკრები, რომელიც იტალიაში იმყოფება, სამშობლოში 5 აპრილს დაბრუნდება. მოთამაშეები თავიანთ კოლექტივებს დაუბრუნდებიან, ხოლო შემდეგ კვლავ მოიყრიან თავს მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩების წინ. პირველი მატჩი შედგება მოსკოვში 23 მაისს საბერძნეთის გუნდთან, ერთი კვირის შემდეგ — უელსის ნაკრებთან, ხოლო 27 ივნისს — დანიის გუნდთან. საპასუხო მატჩები მოწინააღმდეგეთა მოედნებზე გაიმართება ოქტომბერში.

გარდა ამისა მრავალი საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ექნება ჩვენს ნაკრებს. წინასწარი მოლაპარაკებით მატჩი მოსკოვში მსოფლიოს ჩემპიონთან — ბრაზილიის გუნდთან ნავარაუდევია 4 ივლისისათვის.

### გადამწყვეტი ეტაპის წინ

სსრ კავშირის უძლიერეს ფრენბურთელთა გუნდების შეჯიბრების ბოლო ეტაპი ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ვაჟთა თორმეტი კოლექტივის მონაწილეობით მოეწყობა კიევში 16-დან 22 აპრილამდე და ქალთა ამდენივე გუნდის მონაწილეობით გომელში 17-დან 23 აპრილამდე.

დასკვნითი მატჩების წინ როგორც ქალთა, ისე ვაჟთა გუნდებს შორის ლიდერობენ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის სპორტსმენები.

### ცსკა — ჩემპიონი

**გუშინ** არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის შაიბიან ჰოკეისტთა გუნდმა ჯერ კიდევ პირველობის დამთავრებამდე მეთორმეტეჯერ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება.

# ორდენები და მედლები საუკეთესოებს

**სსრ კავშირის** უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 30 მარტის ბრძანებულებებით ზაფხულის XVIII და ზამთრის IX ოლიმპიურ ასპარეზობებში წარმატებით გამოსვლებისათვის, აგრეთვე სხვა თვალსაჩინო სპორტული მიღწევებისათვის საბჭოთა სპორტსმენებისა და მწვრთნელების დიდი ჯგუფი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 15 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 34 კაცი, მედლებით „შრომითი მამაცობისათვის“ — 43 კაცი, „შრომითი წარჩინებისათვის“ — 31 კაცი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ დაჯილდოებულთა შორის ჩვენი რესპუბლიკიდან არიან მოჭიდავეები **რ. რურუა** და **გ. სალარაძე,** მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ დაჯილდოებულთა შორის — მოჭადრაკე **ნ. გაფრინდაშვილი,** მოფარიკავე **ნ. ახათიანი,** ტყვიის მსროლელი **შ. ქველიაშვილი,** მწვრთნელი ფარიკაობაში **ტ. მესხი.**

# ლ. ბ. გოგია

**გარდაიცვალა** სკკპ წევრი 1917 წლიდან, პერსონალური პენსიონერი ლევან ბურდღუს-ძე **გოგია.**

ლ. ბ. გოგია დაიბადა 1882 წელს ზუგდიდის მაზრის სოფელ ხეთაში, ღარიბი გლეხის ოჯახში.

1917-1919 წლებში, არმიაში ყოფნის დროს, იგი დაუკავშირდა ბოლშევიკებს და ეწეოდა აგიტაციას მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ. ლ. გოგია იარაღით ხელში იბრძოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. 1920 წელს მენშევიკურმა მთავრობამ დააპატიმრა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921-1922 წლებში, ლ. გოგია იყო სოფელ ხეთის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე, 1922-24 წლებში კი საბჭოთა არმიის რიგებშია. 1924 წლიდან 1946 წლამდე მუშაობდა ზუგდიდისა და ხობის რაიონებში სხვადასხვა პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელ სამუშაოებზე. 1946 წლიდან პერსონალური პენსიონერია.

ყველგან, სადაც კი მუშაობდა იგი — საბჭოთა მეურნეობის დირექტორად თუ ელსადგურის გამგედ, კომუნალური მეურნეობის განყოფილებაში თუ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ — თავი გამოიჩინა როგორც ენერგიულმა და პატიოსანმა მუშაკმა.

ლ. ბ. გოგია დაჯილდოებული იყო მედლებით „შრომითი მამაცობისათვის“ და „კავკასიის დაცვისათვის“.

ლ. ბ. გოგიას, როგორც პატიოსანი, პრინციპული და უანგარო მუშაკის, ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ამხანაგების გულში.

**ამხანაგების ჯგუფი.**



# სასწაულმოქმედი ელექსირი

ამ უცნაურ ნივთიერებას ალტაცებაში მოჰყავდა ყველა, ვისაც კი მასთან საქმე ჰქონია. მან მიიპყრო დედამიწის დიდი შვილების — ავიცენას, არისტოტელეს, არაზის, ბირუგისა და სხვების ყურადღება. და მათ ღირსეულად შეასხეს ხოტბა ბუნების ამ საუცხოო ქმნილებას.

ლაპარაკია მუმიოზე. უკვე ორი ათას წელზე მეტია, რაც იცნობს მას ადამიანი და წარმატებით იყენებს როგორც სამკურნალო საშუალებას. მუმიოს განსაკუთრებული პოპულარობა დაკავშირებულია მის უაღრესად აქტიურ ზემოქმედებასთან ძვლების რეგენერაციაზე.

ადამიანები არა მარტო ცდილობდნენ ამ ნივთიერების საშუალებით თავიდან მოეშორებინათ ავადმყოფობა, არამედ იმასაც ესწრაფოდნენ, რომ გამოეცნოთ მისი წარმოშობა, შეეტყოთ, რისგან შედგება იგი. მაგრამ ახლაც ძნელია სწორი პასუხის გაცემა იმ კითხვაზე, თუ როგორ წარმოიქმნება მუმიო, თუმცა მისი შემადგენლობა გამორკვეულია.

საბჭოთა მეცნიერებმა ბევრი რამ გააკეთეს მუმიოს სტრუქტურისა და სამკურნალო ზემოქმედების გამოსარკვევად.

როგორია მუმიოს შემადგენლობა? აღმოჩნდა, რომ ეს ბუნების ერთ-ერთი ყველაზე რთული და საინტერესო ქმნილებაა. ნივთიერება მოგვაგონებს ცვილს ყვითელ-მიხაკისფერიდან მბზინავ შავამდე. მას სასიამოვნო სპეციფიკური სუნი აქვს. გემოდ მწარეა. ნაწილობრივ იხსნება წყალში, ბენზოლში, სპირტებში. გარკვეული ტემპერატურისას რბილი, ბლანტი ხდება და ხელს ეცხება. მშრალად დაშლისას ჩნდება ნავთობის მსგავსი პროდუქტი, რაც იწვევს ინტერესს მისი ორგანული ნაწილის შესწავლისადმი.

ქიმიურმა და სპექტრულმა ანალიზმა მუმიოში ოცდახუთი ელემენტი (მოლიბდენი, კალციუმი, ბარიუმი, ფოსფორი) და ბევრი ორგანული ნივთიერება აღმოაჩინა. საინტერესოა, რომ მუმიოს ჩვენს ქვეყანაში (ჩატკალის მთებში) მოპოვებული და უცხოური (არაბული) ნიმუშების ანალიზს მათ შორის არსებითი განსხვავება არ უჩვენებია.

გულმოდგინე ანალიზების შემდეგ საბჭოთა მეცნიერები ლაბორატორიულ კვლევაზე გადავიდნენ. მუმიოთი ზემოქმედება მოახდინეს თეთრ თაგვებზე, ბოცვრებსა და ძაღლებზე. რა მოგვცა ცდებმა?

გამორკვეულია, რომ მუმიოს პრეპარატს შიგნით დიდი დოზებით მიღებისას კი ორგანიზმში მავნე ცვლილებები არ გამოუწვევია.

საინტერესო მონაცემები იქნა მიღებული იმის შემოწმებისას, თუ რა გავლენას ახდენს მუმიო სისხლის ტუტოვან ფოსფოტაზაზე. ტუტოვანი ფოსფოტაზა დიდ როლს ასრულებს ცხოველთა ორგანიზმის ფოსფორულ ცვლაში, განსაკუთრებით ძვლების მოტეხილობათა შეზრდისას და ძვლის ახალი ქსოვილის შექმნაში. ძაღლების მილოვანი ძვლების მოტეხილობისას სისხლის პლაზმა მეხუთე დღეს ღარიბდება, ფოსფორის მაჩვენებლები იზრდება. რაც აუმჯობესებს ძვლის ქსოვილის წარმოქმნის პროცესს.

ცხოველებზე გაკეთებული ცდების სერიამ ცხადყო, რომ მუმიო, როგორც სამკურნალო საშუალება, გაცილებით უფრო სწრაფად, დაახლოებით ორჯერ უფრო მალე აშუშებს ძვლების მოტეხილობას, ვიდრე მკურნალობის ჩვეულებრივი მეთოდების დროს.

ახლა მუმიოს პრეპარატმა გამოყენება ჰპოვა კლინიკაში. შედეგები სასიხარულოა. მუმიოს სასწაულებრივმა ელექსირმა ცხოვრების საგზური მიიღო.

ეს შესაძლებელი გახდა უზბეკეთის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომელთა კოლექტივის მეცადინეობის მეოხებით.

დოცენტი **ა. შაქიროვი.**

• • •

**სურათზე:** მთის კირქვა და მასზე შეგროვებული მუმიო.

ფოტო ფ. მელნიკოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა)


## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის

# ქ. თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმი

### აცხადებს მოსწავლეთა მიღებას დღისა და საღამოს განყოფილებებზე პირველ კურსზე 1965-66 სასწავლო წლისათვის

**დღის განყოფილებაზე მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან** მოქალაქენი 18-დან 30 წლის ასაკამდე, რომლებსაც აქვთ 8-10 კლასის განათლება, დაამთავრეს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი და აქვთ სულ მცირე ორი წლის საწარმოო სტაჟი. გამოცდებზე დაიშვებიან აგრეთვე წარმოების მუშები, რომლებსაც შესასწავლ სპეციალობაში აქვთ სულ მცირე სამი წლის საწარმოო სტაჟი.

**დღის განყოფილება ამზადებს ტექნიკოსებს** — საწარმოო სწავლების ოსტატებს შემდეგი სპეციალობით:

1. **ლითონების ჭრით დამუშავება** — დაიშვებიან ხარატები არანაკლებ მესამე თანრიგისა.
2. **სამრეწველო მოწყობილობის მონტაჟი და შეკეთება** — დაიშვებიან სამრეწველო მოწყობილობის ამწყობი და შემკეთებელი ზეინკლები არანაკლებ მესამე თანრიგისა.
3. **სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა** — დაიშვებიან დურგლები და შემლესავები არანაკლებ მესამე თანრიგისა.

**საღამოს განყოფილების მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან** მოქალაქენი 18 წლის ასაკიდან, რომლებსაც აქვთ სულ მცირე 8 კლასის განათლება და მუშაობენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. ჩარიცხვისას უპირატესობა ეძლევათ პროფტექნიკური განათლების სასწავლებელდამთავრებულთ.

ტექნიკუმში მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენაში (წერა); 2. მათემატიკაში (წერა და ზეპირი); 3. სპეციალობაში (მესამე თანრიგის საკვალიფიკაციო სინჯი; აბარებენ მხოლოდ დღის განყოფილებაზე შემსვლელნი).

ტექნიკუმში შემსვლელმა დირექტორის სახელზე უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: 1. განცხადება; 2. არასრული საშუალო სკოლის დამთავრების მოწმობა (დედანი); 3. ატესტატი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შესახებ; 4. საწარმოო დახასიათება; 5. ავტობიოგრაფია; 6. სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, 3X4 სმ.); 7. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286); 8. შრომის სიის ამონაწერი, დამოწმებული დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ; 9. ცნობა მუშაობის შესახებ (ადგენენ საღამოს განყოფილებაზე შემსვლელნი); 10. ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ; 11. დაბადების მოწმობა; 12. ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ (ადგენს გამოცდებზე გამოცხადების დროს).

**ტექნიკუმი ხსნის მოსამზადებელ კურსებს შემდეგ პუნქტებში:**

1. **თბილისის ინდუსტრიულ ტექნიკუმში** (ორჯონიკიძის ქ. № 49, ტელ. 5-15-51).
2. **თბილისის № 6 საქალაქო პროფტექნიკურ სასწავლებელში** (მაგნიტოგორსკის ქ. № 1, ტელ. 2-64-15).
3. **ქუთაისის № 4 საქალაქო პროფტექნიკურ სასწავლებელში** (საავტომობილო ქარხანა, ტელ. 95-73).

მოსამზადებელ კურსებზე ჩაირიცხებიან: საშუალო და არასრული საშუალო სკოლის განათლების მქონე პროფტექნიკურ სასწავლებელდამთავრებული ახალგაზრდები საწარმო-დაწესებულებებში მუშაობის ორი წლის სტაჟით, წარმოების და მშენებლობის მუშები სამი წლის სტაჟით და პროფტექნიკური სასწავლებლის გამოსაშვები ჯგუფების მოსწავლეები, რომლებიც თეორიულ და საწარმოო სწავლებაში განსაკუთრებით გამოირჩევიან.

**საბუთების მიღება** როგორც მოსამზადებელ კურსებზე, ისე ტექნიკუმში შემსვლელთათვის **წარმოებს ტექნიკუმის კანცელარიაში 1965 წლის 1 მარტიდან.**

**მოსამზადებელ კურსებზე მეცადინეობა** იწარმოებს 1965 წ. 1 აპრილიდან 30 ივნისამდე კვირაში ორჯერ, ორშაბათობით და ხუთშაბათობით.

**მისაღები გამოცდები** — 1 აგვისტოდან 15 აგვისტომდე პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ინდუსტრიულ ტექნიკუმში (ორჯონიკიძის ქ. № 49, ტელ. 5-15-51).

ტექნიკუმში დღის განყოფილებაზე ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო კვებით, ტანსაცმლით და სტიპენდიით.

**ტექნიკუმის დირექცია.**



# თბილისის საქალაქო სატელეფონო ქსელის აბონენტთა საყურადღებოდ

ქ. **თბილისის** სატელეფონო ქსელის აბონენტთა ტელეფონების ნომრების გამოშვებული სიის დამატებით, რომელიც გამოიცა ავტომატურ ტელეფონის სადგურ ატს-3-ის სისტემის შეცვლასთან დაკავშირებით, კომუტატორულ დანადგართა აბონენტების გამოძახებისას უნდა აიკრიფოს შემდეგი ნომრები:

| კომუტატორულ დანადგართა დასახელება | ტელეფონების ნომრები |
| --- | --- |
| შრომის სასახლე | 38-01 |
| კავშირგაბმულობის სამინისტროს ხელის ქვესადგური | 38-02 |
| რუსთავი | 38-04 |
| მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი | 38-05 |
| საქენერგო | 38-06 |
| სოღანლუღი | 38-07 |
| სასტუმრო „ინტურისტი“ | 38-08 |

ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ქვესადგურის აბონენტთა გამოძახებისას პირველი ციფრი უნდა აიკრიფოს „3“ ნაცვლად „2“-ისა. მაგალითად: საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის აბონენტი 1-11 ქ. თბილისის ატს-ის ტელეფონიდან გამოძახებისას უნდა აიკრიფოს 3-01-11 და არა 2-01-11, როგორც გადართვამდე იკრიფებოდა.

„საქქვანახშირის“, „საქჩაის“, ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის, დაწესებულებათა ავტომატურ ტელეფონის სადგურებთან კავშირი სრულავტომატურია. „საქჩაის“ და „საქქვანახშირის“ ქვესადგურების აბონენტთა გამოსაძახებლად საჭიროა აიკრიფოს პირველი ციფრები „38“, შემდეგ კი გამოსაძახებელი აბონენტის ძველი ნომერი.

აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკისა და ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ქვესადგურების აბონენტთა გამოსაძახებლად საჭიროა აიკრიფოს პირველი ციფრები „39“, შემდეგ კი გამოსაძახებელი აბონენტის ძველი ნომერი.

**ქალაქ თბილისის სატელეფონო ქსელის სამმართველო.**




# ორი პრემიერა ეკრანზე

**ხუთშაბათიდან,** 1 აპრილიდან ფაშისტური უღლისაგან უნგრეთის განთავისუფლების 20 წლისთავის აღსანიშნავად თბილისის ეკრანებზე ნაჩვენები იქნება ორი ახალი უნგრული ფილმი.

**„ბედის საწინააღმდეგოდ“**

ასე ჰქვია ერთ-ერთ მათგანს, რომლის სცენარი ეკუთვნის **იდა ანდრაშსა** და **იოჟეფ შოიმარს.** რეჟისორია **მიხაი სემეში.**

როლებს ასრულებენ: **ივან დარვაში, ედიტ დომიანი, შანდორ პეჩი, სილვია დალოში.**

**„საყვარელი დესპოტი“.**

ფილმი შექმნილია **დეჟე კოსტოლანის** რომანის მიხედვით.

სცენარის ავტორია **ტამაშ ხუსტი,** რეჟისორი — **ლასლო რანოდი.**

მთავარ როლებში მონაწილეობენ: **ანტალ პაგერი, კლარი ტოლნაი, ანა ნადი, მარგიტ ბარა.**

ორივე ფილმი გადაიღო კინოსტუდია „გუნიამ“ (უნგრეთი).

**სურათზე:** კადრი ფილმიდან **„საყვარელი დესპოტი“.**

# რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

## თეატრები

### 1 აპრილი

**ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური** — იუგოსლავიის ესტრადის ვარსკვლავები, **მარჯანიშვილის სახელობის** — კაბაბერის ხმალი (მე-15 აბონ. მე-3 წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — მილიონერი (მე-13 აბონ. მე-6 წარმოდგენა), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — „ჩვენი სიხარული“ კონცერტი-სპექტაკლი (მაყურებელთა დარბაზი რადიოფიცირებულია. წარმოდგენები ითარგმნება რუსულ ენაზე), **სანკულტურის** — როგორ მოვხვდი საგიჟეთში.

## ტელევიზია

### 1 აპრილი

11.00 — „ჩვენ ვსწავლობთ ინგლისურს“, 11.20 — დოკუმენტური ფილმი, 12.20 — მხატვრული ფილმი „პირადად ცნობილია“, 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — „პიონერული ახალი ამბები“, 18.10 — „ჩვენ ვსწავლობთ ინგლისურს“, 18.30 — მოსწავლეთათვის „ბურატინოს გამოფენა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — გადაცემა „საიმედოა, მოსახერხებელია“, 19.30 — გადაცემა — „რეგბი“, 19.45 — კინონარკვევი, 19.55 — გადაცემა „ისინი იცავდნენ მამულს“, 20.10 — კინონარკვევი, 20.20 — ახალი ამბები, 20.40 — „იცით თუ არა თქვენ კინო? (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.50 — კონცერტი „წელიწადის დრონი“, 22.30 — ახალი ამბების ესტაფეტა (გადმოცემა მოსკოვიდან).

რედაქტორი **დ. მჭედლიშვილი.**


კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14. კომუტატორი: 3-93-09, რედაქტორის მოადგილეების — 9-93-08, 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 9-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—9-87-61, პროპაგანდის—3-22-93, მრეწველობის—3-20-34, სოფლის მეურნეობის—9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 3-16-90, უცხოეთის — 3-15-68, წერილების — 9-73-24, ილუსტრაციის — 3-28-54, განცხადებების — 3-94-42. | ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443   უე 04698   საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.